პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 49 (9825) | შაბათი, 27 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ შემდგომ მოიზიდონ ქალი მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში შრომისათვის, გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ქალებში, დაუცხრომლად იზრუნონ მათი საწარმოო კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, გაბედულად დააწინაურონ ქალები ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ სამუშაოზე.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

## ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ

ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს წელს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში, ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირი აქტიურად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის და ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, ყველა ხალხთა შორის მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებენ კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას. ეყრდნობა რა სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს და უფრო წინ სწევს რა ამ ინდუსტრიას, საბჭოთა ხალხი თავდადებული, შემოქმედებითი შრომით ახორციელებს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ყველა დარგისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საერთო საქმეში, კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ქალებს. მილიონობით საბჭოთა ქალი აქტიურ მონაწილეობას იღებს კომუნისტურ მშენებლობაში, დაუშრეტელ ენერგიას, შემოქმედებითს ინიციატივას, ორგანიზატორულ ნიჭსა და ტალანტს იჩენს. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ქალების პოლიტიკური აღზრდისა და კულტურული ზრდისათვის, იმისათვის, რომ საჭირო პირობები შეუქმნას ქალებს ქვეყნის მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში შეგნებული და აქტიური მონაწილეობის მისაღებად, გამოიყვანა ისინი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ფართო გზაზე.

საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, ასეულ ათასობით საბჭოთა ქალმა გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა სახელმწიფო მოღვაწემ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის 280 ქალია, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატია 2.209 ქალი, ნახევარ მილიონზე მეტი ქალი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. საბჭოთა ხალხის საუკეთესო ქალიშვილები მომავალ არჩევნებში დასახელებული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

საბჭოთა ქალებმა, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა, სამშობლოს ღირსეულ პატრიოტებად გამოიჩინეს თავი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის ბრძოლაში. დიდია ქალების როლი სოციალისტურ მრეწველობაში. ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე ქალები წარმატებით ეუფლებიან მოწინავე ტექნიკას, აღწევენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას და პროდუქციის საუკეთესო ხარისხს, იბრძვიან საწარმოთა რეზერვებისა და შესაძლებლობების სრული გამოყენებისათვის; ბევრი ქალი წარმოებაში მუშაობის ახალი მეთოდების ინიციატორია.

საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხი ქალების მრავალმილიონიანი მასები დარაზმა შემოქმედებითი შრომისათვის. ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე ქალები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების პირველ რიგებში არიან. ათეულ ათასობით კოლმეურნე ქალი დაწინაურებულია კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებად, მეცხოველეობის ფერმების გამგეებად. მრავალი ათასი ქალი, რომლებიც წარმატებით დაეუფლნენ მექანიზატორთა სპეციალობებს, მართავს ტრაქტორებსა და კომბაინებს, მუშაობს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, სახელმწიფო აპარატში მამაკაცების თანაბრად ნაყოფიერად შრომობს სპეციალისტ ქალთა მრავალრიცხოვანი არმია. საბჭოთა ქალებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მეცნიერებასა და ხელოვნებაში. ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობს ორ მილიონ შვიდას ათასზე მეტი ქალი. ქალები — მეცნიერი მუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები თავიანთი გამოკვლევებით, გამოგონებებითა და აღმოჩენებით ამდიდრებენ საბჭოთა მეცნიერებას. ქალებს — მწერლებს, მხატვრებს, თეატრისა და კინემატოგრაფიის მოღვაწეებს სერიოზული წვლილი შეაქვთ საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში.

მილიონზე მეტი მასწავლებელი ქალი თავის ძალებს ახმარს მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდასა და სწავლებას. ორ მილიონზე მეტი ქალი მუშაობს ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზკულტურის დაწესებულებებში და ასრულებს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ როლს.

საბჭოთა ქალებს მეცნიერებისა და კულტურის დაუფლების ყველა შესაძლებლობა აქვთ. მილიონ სამასი ათასზე მეტი ქალი სწავლობს უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში.

საბჭოთა სახელმწიფო დიდად აფასებს პატრიოტი ქალების თავდადებულ, შემოქმედებით შრომას. სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის 2.346 ქალს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო შრომებისათვის 741 ქალს მიენიჭა სტალინური პრემია. 900 ათასამდე ქალი — მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სამრეწველო წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, წარჩინებული ტრაქტორისტები, მემინდვრეები, მებამბეები, მეჩაიეები, მესაქონლეები — დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა ქვეყანაში დიდ პატივს სცემენ ქალს — დედას, იგი ასრულებს მნიშვნელოვან და საპატიო ამოცანას — ბავშვთა — კომუნიზმის მომავალ მშენებელთა აღზრდას. სსრ კავშირში მოქმედებს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს დედისა და ბავშვის დაცვას, ქალის შრომის დაცვას. „გმირი დედის“ მაღალი წოდება მინიჭებული აქვს 41 ათას მრავალშვილიან დედას. „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“ დაჯილდოებულია 4 მილიონზე მეტი ქალი. საბჭოთა სახელმწიფო მუდამ ზრუნავს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, მატერიალურ დახმარებას უწევს მათ. მარტო 1953 წელს ამ მიზნებისათვის დაიხარჯა ექვსნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი. საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავს დედისათვის, უქმნის მას შესაძლებლობას აქტიური მონაწილეობა მიიღოს საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დახმარებას უწევს ბავშვების აღზრდაში. წლითიწლობით მატულობს ხარჯები სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობისათვის, პიონერთა ბანაკებისა და ბავშვთა სანატორიუმებისათვის.

საბჭოთა კავშირის გამოცდილების მიხედვით მთელი მსოფლიოს ქალები რწმუნდებიან, რომ მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველყოფს ქალთა სრულ განთავისუფლებას და საშუალებას აძლევს მათ თავი გამოიჩინონ ცხოვრების ყველა დარგში, გაშალონ თავიანთი ნიჭი და ტალანტი. ბაძავენ რა საბჭოთა ქალების მაგალითს, ახალი ცხოვრების მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალები. 8 მარტის დღეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები აღნიშნავენ ახალი წარმატებებით სოციალიზმის მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურის განვითარებაში.

კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ქალები ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს ხვდებიან მზარდი ექსპლოატაციისა და მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითების პირობებში. მძიმე ტვირთად აწევს ქალებს გამალებული შეიარაღება, კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების ფასების გადიდება, გადასახადებისა და უმუშევრობის ზრდა. სილატაკე, შიმშილი, ავადმყოფობა მათი ოჯახის სულ უფრო ხშირი სტუმარია.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელი ქალები კვლავ უთანასწორო მდგომარეობაში არიან მამაკაცებთან შედარებით. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალებს უფლება არა აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. ქალებს პირველ რიგში ართმევენ სამუშაოს, ხოლო თანაბარი შრომისათვის მათ ეძლევათ უფრო მცირე ხელფასი, ვიდრე მამაკაცებს. სულ უფრო ძლიერდება შეტევა მშრომელთა დემოკრატიულ უფლებებზე, სულ უფრო მეტ რეპრესიულ ღონისძიებებს იღებენ დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ქალთა უფლებებს იცავენ.

კაპიტალიზმის ქვეყნების ქალებს აღარ სურთ შეურიგდნენ ასეთ მდგომარეობას, აღარ სურთ, რომ მუდმივ შიშს განიცდიდნენ თავიანთი ბავშვებისათვის, თავიანთი ოჯახების ბედნიერებისათვის.

სულ უფრო აქტიურად იბრძვიან ქალები მამაკაცის თანაბარი უფლებებისათვის ცხოვრების ყველა დარგში, მოითხოვენ დედობის სახელმწიფო დაცვას, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, ენისა, რელიგიისა, განათლების უფლებას, ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნის უფლებას.

მთელი მსოფლიოს ქალები მოითხოვენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სადავო საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას, ხალხთა თანამშრომლობის განხორციელებას, ატომური, წყალბადის და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის გამოყენებაზე უარის თქმას.

მეორე მსოფლიო ომში მილიონობით ქალმა დაკარგა ყველაზე მახლობელი ადამიანები — ქმარი, შვილი, ძმა. შვილების სიცოცხლისათვის, კაცობრიობის მომავლისათვის ერთიანდებიან ყველა ქვეყნის ქალები, ხმას იმაღლებენ მშვიდობის დასაცავად, ახალი ომის წინააღმდეგ. ქალთა დემოკრატიულ მოძრაობაში დიდი ძალაა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც აერთიანებს 66 ქვეყნის 140 მილიონ ქალს.

ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ავანგარდში არიან საბჭოთა ქალები. მშვიდობისა და დემოკრატიის საქმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ქალები ავითარებენ მეგობრულ ინტერნაციონალურ ურთიერთობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალებთან, კაპიტალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მშრომელ ქალებთან.

საბჭოთა ქალები მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს მიაჩნიათ თავიანთ ერთგულ მეგობრებად მშვიდობისათვის, თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, იმედებისა და მისწრაფებებისათვის აქტიურ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს საბჭოთა ქალებს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქვეყნის ქალები — მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ვაჭრობის მუშაკები, საბჭოთა მოსამსახურეები თავიანთი აქტიური შემოქმედებითი შრომით კვლავაც გაამრავლებენ ჩვენი სამშობლოს დიდებასა და სიმდიდრეს, მის ძალასა და ძლიერებას, იქნებიან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქალს — მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მშრომელებს — შეუპოვრად იბრძოლონ, რათა სულ ახალი და ახალი წარმატებანი მოიპოვონ სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოციალისტური მეურნეობის ყველა შესაძლებლობისა და რეზერვების სრული გამოყენებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ქალებს — მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და ოსტატებს უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ნაწარმის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო ფართობის თვითეულ მეტრზე პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, მოწყობილობის უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის, შეისწავლონ და ფართოდ გამოიყენონ წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმედი აქვს, რომ მსუბუქ და კვების მრეწველობაში მომუშავე ქალები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ საყოველთაო-სახალხო ამოცანის — სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის წარმატებით განხორციელებას, გამოიჩენენ შემოქმედებით ინიციატივას და გამომგონებლობას საქონლის მაღალი ხარისხისა და მრავალფეროვანი ასორტიმენტის მისაღწევად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ქალებს — კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს იბრძოლონ მეცხოველეობის განვითარებაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში ჩამორჩენის მალე გადალახვისათვის, მარცვლეულის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, უფრო ფართოდ დანერგონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება მარცვლეული, ბოსტნეული, ტექნიკური კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დარგში, მტკიცედ იბრძოლონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდისათვის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ქალებს — კულტურის მუშაკებს თავიანთი შემოქმედებითი ძალები და ნიჭი მოახმარონ საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ განვითარებას; მოუწოდებს მოსამსახურე ქალებს თავიანთი შემოქმედებითი ძალები და ნიჭი მოახმარონ სახელმწიფო აპარატის მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას.

კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის გზაზე ცოტა სიძნელე როდია, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები და მრეწველობის ზოგიერთი დარგი, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ, ჯერ კიდევ ბევრია ჩამორჩენილი კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა ქალები მთელ თავიანთ ძალღონესა და ენერგიას მოახმარენ ამ სიძნელეთა და ნაკლოვანებათა გადალახვას ჩვენს მუშაობაში.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ შემდგომ მოიზიდონ ქალი მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში შრომისათვის, გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ქალებში, დაუცხრომლად იზრუნონ მათი საწარმოო კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, გაბედულად დააწინაურონ ქალები ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ სამუშაოზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ ზრუნვა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინონ დედებისადმი, დაეხმარონ მათ ბავშვების აღზრდაში. საჭიროა ყოველდღიური კონტროლი დაწესდეს იმისადმი, რომ განუხრელად სრულდებოდეს საბჭოთა კანონები ქალთა შრომის დაცვის შესახებ და სახელმწიფო ღონისძიებანი ქალებისა და ბავშვებისათვის ზრუნვის გასაძლიერებლად, გაუმჯობესდეს სკოლების, საბავშვო ბაღების, ბაგების, პიონერბანაკების, საზოგადოებრივი სასადილოების, სამრეცხაოების, სამკერვალო სახელოსნოებისა და სხვა საწარმოთა მუშაობა, რომლებიც საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევენ მოსახლეობას. საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი სკოლების, საბავშვო ბაღების, ბაგების, სამკურნალო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი.

აღიარებს რა ქალთა განსაკუთრებულ როლს ბავშვების აღზრდის საქმეში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ქალები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აღზარდონ შრომისმოყვარე, მამაცი, ხალხისა და საბჭოთა სამშობლოს ერთგული ახალგაზრდა თაობა, რომელსაც შეეძლება დაძლიოს ყოველგვარი სიძნელე.

საბჭოთა კავშირის ქალები კვლავაც უნდა იყვნენ ყველა ხალხთა შორის მშვიდობისათვის და ახალი ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის ავანგარდში, უნდა განამტკიცონ თავიანთი ინტერნაციონალური კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელ ქალებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მიესალმება რა საბჭოთა ქალებს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს, მხურვალედ უსურვებს მათ ახალ შრომით წარმატებებს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, საბჭოთა ხალხისა, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმისაკენ.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### რუსეთის სფსრ შემადგენლობიდან უკრაინის სსრ შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ

ითვალისწინებს რა ეკონომიკის ერთობას, ტერიტორიულ სიახლოვეს და მჭიდრო სამეურნეო და კულტურულ კავშირს ყირიმის ოლქსა და უკრაინის სსრ შორის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი წარდგინება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყირიმის ოლქის გადაცემის შესახებ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი**

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 19 თებერვალი.

## ჩეხოსლოვაკიაში გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მერვე ტომი

პრაღა. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა VIII ტომი, რომლის ტირაჟია 50 ათასი ცალი.

## ავეჯის ახალი ფაბრიკები

სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ დაამთავრა ავეჯის სამი ახალი ფაბრიკის მშენებლობა. ეს ფაბრიკები აშენდა სმოლენსკში, მოლოტოვსა და ნოვგოროდში.

ახალი საწარმოები ამუშავდა. ისინი აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით. თვითეული ფაბრიკა წელიწადში საშუალოდ გამოუშვებს თითქმის 20 მილიონი მანეთის ავეჯს. (საკდესი).

## მიღება მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში

25 თებერვალს მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში დაიწყო ახალგაზრდობის მიღება. მიღების გამოცხადებამდე დიდი ხნით ადრე შეტანილია ათასზე მეტი ქალიშვილისა და ჭაბუკის განცხადება. № 19, № 30 და სხვა სკოლებში შეტანილია იმაზე მეტი განცხადება, ვიდრე ადგილია.

სწავლების პერიოდში ახალგაზრდობა ეუფლება შემღებავის, ხუროს, მლესავის, კალატოზის სპეციალობებს.

კურსდამთავრებულნი დედაქალაქის უდიდეს მშენებლობებზე იმუშავებენ. (საკდესი).

## მუხლუხა ტრაქტორების გამოყენება სათოხნი კულტურების დასამუშავებლად

დნეპროპეტროვსკი, 25 თებერვალი. (საკდესი). ოლქის მექანიზატორთა შორის მხურვალედ დაუჭირეს მხარი მეჟევაიას მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკთა თაოსნობას, რომლებმაც წინადადება შეიტანეს დაიწყოს შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკეთ გამოყენებისა და მანქანების მუშაობის გახანგრძლივებისათვის.

ამ მტს-ში წარჩინებული მექანიზატორის გ. სულიმას მოწინავე სატრაქტორო ბრიგადამ სათოხნი კულტურების მოვლაში გამოიყენა ამ დროს თავისუფალი მუხლუხა ტრაქტორები დტ-54, შეადგინა რა მისაბმელი იარაღებისაგან ნიადაგდამმუშავებელი აგრეგატები. ამასთან კულტივაციის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. დიდად შემცირდა კულტივაციის ღირებულება მანქანების წარმადობის გადიდებით და დიზელის სათბობის ხარჯის შემცირებით.

გასულ წელს ბრიგადამ დტ-54 მარკის სამი ტრაქტორით კულტივაციაში შეცვალა ათი თვლიანი ტრაქტორი „უნივერსალი“. ამასთან დაზოგილ იქნა 12,5 ტონა საწვავი.

ამჟამად ამხ. სოკოლოვსკის, კირილენკოსა და სხვების სატრაქტორო ბრიგადები, რომლებიც სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის ემზადებიან, აგრეგატებს აკომპლექტებენ „სშ-6“ მარკის ორი სათესი მანქანით, რაც შესაძლებლობას ქმნის საზომი მავთულის ადგილის გადაუნაცვლებლად ერთბაშად დაითესოს 24 კვალი ჩვეულებრივი თორმეტის ნაცვლად.

მოწინავე გამოცდილება ინერგება აგრეთვე ოლქის სხვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

## მხედველობის აღდგენის ახალი მეთოდები

ოდესა, (საკდესი). უკრაინის ვ. პ. ფილატოვის სახელობის თვალის დაავადებათა ექსპერიმენტული ინსტიტუტის მეცნიერებმა გამონახეს მთელი რიგი ახალი მეთოდები მხედველობის აღდგენისა და თვალის ისეთი მდგომარეობის დროს, რომლის მკურნალობა წინათ შეუძლებლად მიაჩნდათ.

ფართოდ გავრცელდა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ვ. პ. ფილატოვისა და დოცენტ ვ. ე. შევალიოვის მიერ შემუშავებული ოპერაცია, რომლის შედეგად მხედველობა უბრუნდება ადამიანებს, რომლებიც დაბრმავდნენ თვალების გაშრობის ნიადაგზე.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ა. პუჩკოვსკაიამ პირველად შეიმუშავა რქოვანა გარსის თითქმის მთლიანად გადანერგვის მეთოდი, როცა ავადმყოფს აქვს გართულებული ბისტი და არ შეიძლება გაუკეთდეს რქოვანის ნაწილობრივი გადანერგვა. მან უკვე ასზე მეტი ოპერაცია გააკეთა ახალი მეთოდით.

ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ა. ბერხაშმა შეიმუშავა მეთოდი, რომლითაც რქოვანა გარსის გადანერგვის ოპერაცია შეიძლება გაუკეთდეს ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს.

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

# კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

## ამხ. ზ. ნ. კეცხოველის სიტყვა

### საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი

ამხანაგებო! საქართველოს კვების მრეწველობა წლითიწლობით ზრდის სიმძლავრეებს და ადიდებს მრავალნაირი სასურსათო საქონლის გამოშვებას.

1953 წელს რესპუბლიკის სასურსათო საქონლის მრეწველობამ (საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ჩაუთვლელად) 4 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, რაც 36,3 პროცენტით აღემატება 1950 წლის დონეს. გარდა ამისა, კვების საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა (საქკონსერვტრესტმა, საქართველოს შამპანურის კომბინატმა და სხვ.) 1953 წელს 943 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

სასურსათო საქონლის მრეწველობის ყველა დარგმა შეასრულა 1953 წლის სახელმწიფო გეგმები, გარდა საქართველოს ჩაის და საქართველოს ერბოკარაქმრეწვის ტრესტებისა.

გადაჭარბებით შესრულდა თვითღირებულების შემცირების დავალება, რის შედეგადაც მიღებულია 15 მილიონი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია. ზეგეგმითი ეკონომია მეტი იქნებოდა, საქართველოს ჩაის ტრესტს (მმართველი ამხ. სარჯველაძე), საქპურტრესტს (მმართველი ამხ. ყიფიანი), საქკონდიტერს (მმართველი ამხ. თარხნიშვილი), აგრეთვე სხვა ტრესტების ცალკეულ საწარმოებს პროდუქციის თვითღირებულების გაძვირება რომ არ დაეშვათ.

1953 წელს ამოქმედდა პურის ახალი ქარხანა თბილისში, ხორცის კომბინატი და ლუდის ქარხანა სოხუმში, ჩაის 3 ფაბრიკა, სამტრესტის 6 ღვინის ქარხანა, საქართველოს შამპანურის კომბინატის 4 ღვინის ქარხანა და სხვა ობიექტები. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 11.537 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მაგრამ სამინისტროს ხაზით კაპიტალდაბანდებათა გეგმის შესრულებას 23,6 მილიონი მანეთი დააკლდა, რაც ძირითადად აიხსნება სამუშაოთა ცუდი ორგანიზაციით „საქჩაიმშენმონტაჟის“ ტრესტში (მმართველი ამხ. რუხაძე), საქართველოს სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის ტრესტში (მმართველი ამხ. მორეტი) და საწარმოო ტრესტებში, რომლებიც მშენებლობას, სამეურნეო წესით ეწევიან, აგრეთვე საშენი მასალების არადამაკმაყოფილებლად მიწოდებით და სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დაბალი დონით.

საქართველოს კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომლებიც ხელმძღვანელობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით, რესპუბლიკის სასურსათო საქონლის მრეწველობის წინაშე დააყენეს კვების პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების დიდი ამოცანები.

ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება 1954 წელს 1950 წელთან შედარებით დიდდება 42,2 პროცენტით, რძის პროდუქტებისა — 31 პროცენტით, ღვინისა — 37,4 პროცენტით, ბაიხაო ჩაისა — 38,1 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 30 პროცენტით, მაკარონისა — 46 პროცენტით, ლუდისა — 75 პროცენტით და სხვ.

როგორც ცნობილია, სასურსათო საქონლის წარმოების გადიდება დამოკიდებულია იმ ამოცანების წარმატებით შესრულებაზე, რომლებიც დაგვისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. 1953 წელს მეცხოველეობის პროდუქტების მიღება უთანაბროდ და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. მაგალითად, 1953 წლის II კვარტალში ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულ იქნა 83,5 პროცენტით.

როგორც წესი, დამამზადებელ პუნქტებში გამხდარი პირუტყვი მოჰყავთ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება 1954 წლის I კვარტალშიც. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი ნაკლოვანებათა გამოსწორებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მუშაობაში.

დიდი ამოცანებია დასახული ჩაის მეურნეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების საქმეში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისათვის.

ჩაის ახალგაზრდა ნარგავების მნიშვნელოვანი ფართობები და სრულმოსავლიანი პლანტაციების ნაწილი უყურადღებოდ არის მიტოვებული. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩაის არსებული პლანტაციების სანიმუშო წესრიგში მოყვანას.

თუ უახლოეს ორ წელიწადში მივაღწიეთ ჩაის პლანტაციების საშუალო მოსავლიანობას — ჰექტარზე 3.500-4.000 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, — ამას კი უკვე მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის მთელმა რიგმა მეჩაიეობის რაიონებმა, — ჩვენ შევძლებთ მივცეთ ქვეყანას 60.000-მდე ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის მზა პროდუქცია ახლანდელი 27-28 ათასი ტონის ნაცვლად.

ქართული ჩაის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული როგორც ფაბრიკაში ტექნოლოგიურ პროცესებზე, ისე კრეფის ხარისხსა და ჩაის მწვანე ფოთლის დროულად ჩაბარებაზე. ჩაის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა კრეფის პროცესებიდან უნდა დავიწყოთ. საჭიროა, რომ მეჩაიეობის რაიონების პარტიის რაიკომების მდივნები ჯეროვნად ხელმძღვანელობდნენ არა მარტო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და ჩაბარების ორგანიზაციას, არამედ ჩაის ფაბრიკების მუშაობასაც.

თუმცა ჩაის მრეწველობა სამინისტროს სისტემაში მრეწველობის ყველაზე ორგანიზებული დარგია, ჩვენ მაინც რამდენადმე მოძველებული მეთოდებით ვმუშაობთ. საჭიროა უფრო ფართოდ გაჩაღდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა როგორც ტექნოლოგიის, ისე აგროტექნიკის დარგში, ხოლო სამინისტრომ და საქართველოს ჩაის ტრესტმა უნდა გააუმჯობესონ მუშაობა წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე მეჩაიეთა და მრეწველობის მუშაკთა გამოცდილების დასანერგავად.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ორი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლებიც ანასეულში მუშაობს, გავაერთიანოთ ერთ ინსტიტუტად სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში.

ჩვენ ჩაის ბევრ ახალ ფაბრიკას ვაშენებთ. ახლა საქართველოს ჩაის ტრესტის სისტემაში 63 ჩაის ფაბრიკაა, წელს შენდება კიდევ ხუთი ჩაის ფაბრიკა. უახლოეს წლებში განზრახულია განხორციელდეს საწარმოო ბაზის შემდგომი გაფართოება.

საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დასახულია ამოცანა — უახლოეს წლებში ვენახების ფართობი რესპუბლიკაში ავიყვანოთ დაახლოებით 80 ათას ჰექტარამდე.

საჭიროა უახლოეს წლებშივე მივაღწიოთ ყურძნის მოსავლიანობის გადიდებას ჰექტარზე 70 ცენტნერამდე მაინც. სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებში შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 66 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 57 ცენტნერისა. ბევრმა მოწინავე კოლმეურნეობამ კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მიიღო.

ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს ვენახები ქალაქებისა და მუშათა ცენტრების გარშემო, კურორტების გარშემო. სუფრის ყურძნის ჯიშების მეტ ვაზს უნდა ვაშენებდეთ ქ. თბილისის ახლოს. ახალი ყურძნითა და ხილით ქალაქ თბილისის მომარაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამგორის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობას, რომლის ფართობი 400 ჰექტარი იქნება, და მახათას საბჭოთა მეურნეობის მშენებლობას, რომლის ფართობი 1.000-მდე ჰექტარი იქნება.

მეღვინეობის პროდუქციის გამოშვება საქართველოში წლითიწლობით მატულობს. 1954 წელს რესპუბლიკის მეღვინეობის ორგანიზაციები ქვეყანას მისცემენ 3,5 მილიონ დეკალიტრ ღვინოს და 5 მილიონამდე ბოთლ შამპანურს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ძლიერ ჩამორჩა მეღვინეობის ტექნიკური ბაზის განვითარება. უკანასკნელ დრომდე თითქმის არ შენდებოდა მარნები და ღვინის ქარხნები. საკმაო რაოდენობით არ არის სტაციონარული სატევრები ღვინის შენახვისა და გადამუშავებისათვის. ღვინო მნიშვნელოვანი რაოდენობით კასრებში ინახება ღია ცის ქვეშ.

წელს მეღვინეობის ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის ასიგნებულია 66 მილიონი მანეთი — 36 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1950 წელს. შემდგომ წლებში ასიგნობანი ამ მიზნით კიდევ უფრო უნდა გადიდდეს.

გამოშვებული ღვინოების სახელწოდებათა შემცირებამ 25 სახელწოდებამდე თავისი დადებითი როლი შეასრულა: გადიდდა მაღალხარისხოვანი ღვინოების გამოშვება. მიმდინარე წლიდან ღვინოები გამოშვებულ იქნება ძველი სახელწოდებებით. მაგრამ საქმე არა მარტო სახელწოდებათა აღდგენაა, მთავარია ღვინოების ხარისხის ამაღლება, განსაკუთრებით მასობრივი ღვინოებისა, როგორიც არის № 8 — კახური და № 6 „იმერული“, რომელთა ხარისხს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ესაჭიროება.

სამინისტრომ უმოკლეს ვადაში უნდა აღმოფხვრას ყრილობაზე აღნიშნული ნაკლოვანებანი, უწინარეს ყოვლისა სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკები პირობას აძლევენ საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის დახმარებით მიაღწევენ ყველა ამოცანის შესრულებას სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისა და ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნის საქმეში.

## ამხ. მ. ე. თოფურიძის სიტყვა

### საქართველოს სსრ პროკურორი

ამხანაგო დელეგატებო! სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში დიდ როლს ასრულებენ პროკურატურის ორგანოები. ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ ყველა სამინისტროს, უწყების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ერთობლივი მუშაობის შედეგად, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით.

მაგრამ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ შექმნეს ვითარება, რომელიც ვამორიცხავდეს დანაშაულთა ჩადენის შესაძლებლობას.

1953 წელს გამოძიებული და სასამართლოებისათვის გადაცემული ყველა საქმის 20 პროცენტზე მეტი გაფლანგვის, ამასთან მნიშვნელოვანწილად დიდი და ჯგუფობრივი გაფლანგვის საქმეები იყო. ამ საქმეებით სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზარალი აქვს მიყენებული.

გამოძიების მასალები მოწმობს, რომ სავაჭრო და მთელ რიგ სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სერიოზულად არ ეკიდებიან კადრების შერჩევას, არადამაკმაყოფილებლად აწყობენ სარევიზიო მუშაობას და ამით ხელშემწყობ ნიადაგს უქმნიან დანაშაულებრივ ელემენტებს.

საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ცუდი ორგანიზაციით განსაკუთრებით გამოირჩევა სამომხმარებლო კოოპერაცია. მაგალითად, ცეკავშირში მოულოდნელი რევიზიების გეგმა 1953 წელს შესრულებულ იქნა 75 პროცენტით, ხოლო დოკუმენტალური რევიზიებისა — მხოლოდ 57,4 პროცენტით. რევიზიის ჩატარების გეგმები არ სრულდება სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროში, საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოში და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში. არ იცავენ არსებულ წესს, რომლის მიხედვითაც თვითეულ კოლმეურნეობაში ყოველ წელიწადს აუცილებლად უნდა ჩატარდეს კოლმეურნეობათა საფინანსო მდგომარეობის ორი მიმდინარე შემოწმება და ერთი დოკუმენტალური რევიზია.

სერიოზულ ბოროტებას წარმოადგენს რევიზიების დაბალი ხარისხი. სავაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების მთელი რიგი ხელმძღვანელები ლიბერალურად ეკიდებიან გაფლანგვა-დატაცებაში მხილებულ პირებს. ამავე დროს არის ფაქტები, როცა ზოგიერთი ხელმძღვანელი თავის დაზღვევის მიზნით საგამომძიებლო ორგანოებში დიდი რაოდენობით გზავნის მასალებს ისეთ პირებზე, რომლებმაც დაუდევრობით დაუშვეს მატერიალურ ფასეულობათა მცირეოდენი დანაკლისი.

მომხსენებელმა და დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობა. ეს კრიტიკა სავსებით სწორია, მაგრამ პროკურატურის ორგანოებს კიდევაც უნდა ვეხმარებოდეთ. პარტიულ ორგანიზაციებს უნდა აინტერესებდეთ, თუ ვის აქვს დავალებული კანონის დამცველის საპატიო როლი და ვინ ახორციელებს მართლმსაჯულებას, მათ უნდა ნახონ ხოლმე — როგორ შენობაში და რა პირობებში მუშაობენ სასამართლო და პროკურატურა, დაეხმარონ მათ. პარტიულმა ორგანოებმა პროკურატურაში სამუშაოდ უნდა შეარჩიონ ყველაზე პატიოსანი, ობიექტური, პრინციპული მუშაკები.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. პარტიის ცალკეული რაიონული კომიტეტები განიხილავდნენ დანაშაულებრიობასთან ბრძოლის მდგომარეობის საკითხს და პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ საგამომძიებლო ორგანოებს. ამასთან ერთად იყო შემთხვევები ცალკეული რაიკომების არასწორი ჩარევისა პროკურატურის პრაქტიკულ მუშაობაში. პარტიის ქობულეთის რაიკომის ყოფილმა მეორე მდივანმა მოისწრაფიშვილმა სრულიად უსაფუძვლოდ დაუწყო დაცვა ქობულეთის საავადმყოფოს ყოფილ დირექტორს კეკელიას, მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულს, სახელს უტეხდა რაიონის პროკურორს ამხ. სიხარულიძეს და მიაღწია იმას, რომ რაიკომის ბიურომ გამოიტანა გადაწყვეტილება მექრთამე კეკელიას პარტიის რიგებში დატოვების შესახებ. შემდგომ სხდომაზე რაიკომის ბიურო იძულებული იყო გაეუქმებინა თავისი ეს არასწორი გადაწყვეტილება.

ზოგიერთ ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ დანაშაულებრიობასთან, სპეკულაციასთან, ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუებასთან, ხულიგნობასთან ბრძოლა მხოლოდ პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის საქმეა.

თბილისში მცხოვრებმა პარტიის წევრმა ოგანეზოვამ თავის დროზე საჩივრით მიმართა თბილკვებვაჭრობის დირექტორს, რომ № 13 მაღაზიის ფილიალში გამყიდველმა ხალილაშვილმა მას ცხვრის ხორცის ნაცვლად თხის ხორცი მიჰყიდა და 6 მანეთის ნაცვლად 9 მანეთი და 50 კაპიკი გამოართვა. გამოირკვა, რომ ხალილაშვილი ამას სისტემატურად სჩადიოდა. როგორც გამყიდველ ხალილაშვილის, ისე მყიდველ ოგანეზოვას მიერ ხელმოწერილი აქტი ადასტურებდა ამას და იგი პროკურატურას გადაეცა. მაგრამ წინასწარი გამოძიების დროს ოგანეზოვამ უარი თქვა თავის საჩივარზე და განაცხადა, რომ ხორცში 6 მანეთი გადაიხადა, უეჭველია, გამყიდველმა ხალილაშვილმა მოქრთამა ოგანეზოვა, და ეს უკანასკნელი დამნაშავის დაცვის გზას დაადგა.

მეორე შემთხვევა. გასული წლის დამლევს თბილუნივერმაღის მაღაზიაში დაკავებულ იქნა სპეკულანტი კოკელიანი. მან ორი გასაშლელი საწოლი იყიდა და ისინი იქვე მიჰყიდა მარნეულის რაიონში მომუშავე ინჟინერ ძაძამიძეს, რაშიც 60 მანეთით მეტი გამოართვა. გამოძიების დროს ინჟინერმა ძაძამიძემ განაცხადა, რომ მას თითქოს ზედმეტი ფული არ მიეცეს კოკელიანისათვის, არამედ ეს ფული გადაეხადოს საწოლების სახლში მიტანისათვის. ყალბი ჩვენების მიცემისათვის ინჟინერი ძაძამიძე მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

დამნაშავეთა მიერ დაზარალებულების მოსყიდვისა და დაყოლიების ფაქტები თითო-ოროლა როდია. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ სპეკულანტების ასეთ დამცველებს.

ამხანაგებო! თბილისის ცენტრალურ ქუჩებში საკმაოდ ხშირად ნახავთ ახალგაზრდების, სტუდენტებისა და უფროსი კლასების მოსწავლეების ჯგუფებს. ისინი ხულიგნობენ, შეურაცხყოფას აყენებენ გამვლელებს, ხოლო მოზრდილთა შენიშვნებზე უცენზურო სიტყვებით უპასუხებენ. უკულტურობის, ხულიგნობის ასეთი გამოვლინება შედეგია მშობლების მიერ ცუდი აღზრდისა, განათლების ორგანოებისა და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი აღმზრდელობითი მუშაობისა, შედეგია უსაქმური ცხოვრებისა, რომელიც არ შეიძლება პატიოსანი იყოს. თბილისში ბევრია ახალგაზრდა სპეციალისტები, მათ შორის ექიმები, რომლებსაც არა სურთ სპეციალობის მიხედვით სამუშაოდ წავიდნენ რაიონებში და უსაქმოდ დაყიალობენ. არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც ის პირები, რომელთა სწავლებაზე სახელმწიფომ ფული დახარჯა, მოვალენი არიან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ წავიდნენ სამუშაოდ მიმართულების შესაბამისად, იმუშაონ იქ, სადაც მოთხოვნილებაა სპეციალისტებზე. ამ კანონს არ იცავენ.

საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საკითხს, ჩავაბათ ახალგაზრდობა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, და ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში დაუშვებელ ისეთ დანაშაულს, როგორიც ხულიგნობაა.

საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულებისათვის, სოციალისტური საკუთრებისადმი ყაირათიანი მოპყრობისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემისათვის ბრძოლა მარტო სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს არ ძალუძთ. ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში მეტად დიდია ყველა ჩვენი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სკოლის, მშობლების, ფართო საზოგადოებრიობისა და პრესის როლი.

თავის მხრივ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოები მთელ ძალღონეს იხმარენ, რათა უზრუნველყონ მტკიცე და შეუსუსტებელი კონტროლი სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვისადმი, და ღირსეულად შეასრულებენ ამოცანებს, რომლებიც პროკურატურას ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დააკისრა.

## ამხ. ვ. ლ. ჭანკოტაძის სიტყვა

### „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მმართველი

ამხანაგებო! საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ჩვენს რესპუბლიკაში ენერგეტიკის განვითარების საკითხებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში აშენდა ბევრი ახალი ჰიდროელექტროსადგური, დიდად გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება. მაგრამ, როგორც ცნობილია, საქართველოში ენერგეტიკის განვითარება მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სახალხო მეურნეობის ზრდას. ამის შედეგად მოქმედი ელექტროსადგურები ვერ აკმაყოფილებენ მზარდ მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

სიმძლავრეთა მატებაში არსებული ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ არ არის დიდი ჰიდროელექტროკვანძების მშენებლობის პერსპექტიული დაგეგმვა და დაპროექტება, რაც დაკავშირებული უნდა იყოს რესპუბლიკის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებასთან ელექტროენერგიაზე. საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა საშუალო და წვრილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გზით, მაშინ, როცა რიონისა და ხრამის კასკადების წყლის მძლავრი ენერგეტიკული რესურსები გამოუყენებელი რჩებოდა. მაგრამ 1951-1953 წლებიდან გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე აღვნიშნო, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ნელა ხორციელდება, რადგან არასაკმაოა დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ამასთან არც ერთი და არც მეორე დაკავშირებული არ არის სადგურების დამთავრებისა და ამოქმედების ვადებთან.

დიდი ბრალი მიგვიძღვის ჩვენ — მშენებლებსაც. ჩვენ ჯერ კიდევ ნელი ტემპებით ვაშენებთ ჰიდროელექტროსადგურებს, ჯერ კიდევ გვაქვს მექანიზმებისა და ტრანსპორტის მოცდენის შემთხვევები, მუშების ნაწილი გამომუშავების დაწესებულ ნორმებს ვერ ასრულებს, ყველა სახის სამუშაო მთლიანად არ არის მექანიზებული. ამოცანა ის არის, რომ მივაღწიოთ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას უფრო მოკლე ვადებში.

ჰიდროენერგომშენებლების წინაშე დიდი ამოცანები დგას. უნდა განვახორციელოთ ურთულესი ნაგებობანი, შევასრულოთ უდიდესი მოცულობის სამუშაოები. ამიტომ უაღრესად გვესაჭიროება საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროს დახმარება.

სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტრო ყოველწლიურად გვიგეგმავს მუშახელის მიღებას რესპუბლიკის ფარგლებში ორგანიზებული შეგროვების გზით. მაგრამ ამ შეგროვების გეგმები ბევრ რაიონში არ სრულდება, და ტრესტი მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდის.

მე ვფიქრობ, რომ დროა რაიონების ხელმძღვანელებმა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისადმი და გაიმსჭვალონ იმის შეგნებით, რომ რესპუბლიკის წინაშე პასუხისმგებლობა აკისრიათ ახალ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა წარმატებით და უსწრაფესად ამოქმედებისათვის.

ამხანაგებო! იმისათვის, რომ წარმატებით უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობა და მშრომელთა ყოფაცხოვრება ელექტროენერგიის მზარდი რაოდენობით, საჭიროა მკვეთრად გავაძლიეროთ ჰიდროენერგომშენებლობის ტემპები და გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობის ხარისხი.

## ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილის სიტყვა

### საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ საბჭოთა მეცნიერების — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერების განვითარებისათვის.

საქართველოს მეცნიერები ცდილობენ თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი უმნიშვნელოვანეს თეორიულ პრობლემებთან ერთად ამუშავებენ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისაკენ.

პირველ რიგში აღსანიშნავია ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა იმ ხაზით, რომ მეტალურგიულ მრეწველობაში გამოყენებულ იქნას მარგანეცის ღარიბი მადნები, რომლებიც დღემდე ნაყარად ითვლებოდა.

ამავე ინსტიტუტმა დაამთავრა ტყიბულის ფიქალების კომპლექსური შესწავლა საყოფაცხოვრებო გაზის მიღების მიზნით.

ენერგეტიკის ინსტიტუტში დამუშავებულია ახალი ჰიდროენერგეტიკული ობიექტების შემადგენლობისა და საქართველოს სსრ ენერგოსისტემაში ჩართვის წესის, მაღალვოლტიანი ქსელების განვითარების, ქ. თბილისის ენერგომომარაგების, დაბალხარისხოვანი ქვანახშირის გამოყენების საკითხები.

აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში მნიშვნელოვანი მუშაობა ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

აკადემიის ინსტიტუტები და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილების საცდელი სადგურები წარმატებით მუშაობენ მარცვლეული კულტურების, ბაღების, ვენახების მოსავლიანობის გადიდების პრობლემებზე. გამოყვანილია ხორბლის, სიმინდის, ვაზის, ატმის მაღალმოსავლიანი ჯიშები. მუშავდება ეფექტიანი ღონისძიებანი მეცხოველეობის საკვები ბაზის გასაუმჯობესებლად. შემუშავებულია მცენარეული კულტურების მოყვანა-დამუშავების მოწინავე აგროტექნიკა.

უფრო ხშირად ეწყობა აკადემიის ინსტიტუტების გამსვლელი სამეცნიერო სესიები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონულ ცენტრებში.

ჩვენს მუშაობაში უეჭველად არის ნაკლოვანებებიც, უწინარეს ყოვლისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თვით სტრუქტურაში. არ შეიძლება სწორად იქნას ცნობილი ის მდგომარეობა, რომ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილება, რომელიც ბევრ სამეცნიერო დაწესებულებას აერთიანებს, სრულებით არ მუშაობს მეცხოველეობის საკითხებზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოყვანა-დამუშავების საკითხებსა და ბევრ სხვა აქტუალურ პრობლემაზე.

იგივე შეიძლება ითქვას ტექნიკურ განყოფილებაზეც, რომელიც არ აწარმოებს ქიმიური ტექნოლოგიის ბევრი უმნიშვნელოვანესი დარგის დამუშავებას.

საჭიროა უახლოეს დროში დაწყებულ იქნას აკადემიის სტრუქტურის შესწავლა და შემუშავდეს მისი გარდაქმნის გეგმა იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც მეცნიერების წინაშე დგას ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის დროს ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული პრობლემების კომპლექსურ დამუშავებას.

მაგრამ ჩვენში არიან მეცნიერები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ უსწავლიათ ყურის დაგდება კრიტიკის ხმისათვის, არ შეუძლიათ და არა სურთ კოლექტივში მუშაობა, უნდა ვაღიაროთ, რომ აკადემიის პრეზიდიუმი ძალიან სუსტად ებრძვის ასეთ ინდივიდუალისტურ განწყობილებას, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა არათუ არ გვეხმარებოდა ამაში, არამედ ზოგჯერ თავისი მოქმედებით ხელს უწყობდა არანორმალური ვითარების შექმნას. მოვიყვან ერთ მაგალითს. ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა ფორმალურად დაევალა მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტს, ამ გამოცემის ერთპიროვნულ რედაქტორად კი დანიშნულ იქნა ისეთი პირი, რომელიც საერთოდ არ მუშაობს აკადემიის სისტემაში და, რადგან ჩვენ არ გვექვემდებარება, ძალიან ნაკლებად გვიწევდა ანგარიშს.

ასეთი სისტემის დროს გარდუვალია დიდი შეცდომები და ჩავარდნები, რომლებიც კიდევაც იყო.

მუშაობაში ნამდვილი კოლეგიალობა და ურთიერთი კრიტიკა რომ არ იყო, ამით უნდა აიხსნას აგრეთვე ის იდეოლოგიური შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა ეკონომიკის, ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგის ზოგიერთ გამოცემაში. მთელი რიგი ნაშრომები ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გადმონაშთებს შეიცავენ.

ყველა ეს ნაკლი და შეცდომა, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, აღმოფხვრილ უნდა იქნას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა კოლექტივი ძალღონის დაუზოგავად იმუშავებს უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებსაც სახალხო-სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

# სახელმოხვეჭილი მეშახტე

[illegible] ...ტებში პირველად გამოიყენა ისეთი შესანიშნავი მექანიზმი, როგორიც არის ელექტრობურღი.

1935 წელს ალექსი სტახანოვის სანგრევი უროს დევგმირულმა დარტყმამ მთელ ქვეყანას აუწყა სტახანოვური მოძრაობის დაწყება. შალვა ფურცხვანიძე ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სტახანოვურ მოძრაობას და შრომის საუცხოო მაჩვენებლებს მიაღწია.

სამამულო ომის მძიმე წლებში კიდევ უფრო თავდადებით შრომობდა სახელოვანი მეშახტე. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ რაც მეტ ქვანახშირს ამოიღებდა, მით უფრო მოაახლოებდა გამარჯვების საათს. იყო დღეები, როცა შ. ფურცხვანიძის მნგრეველთა ბრიგადა იმაზე მეტ ქვანახშირს იძლეოდა ცვლაში, ვიდრე ზოგიერთი საექსპლოატაციო უბანი მთლიანად. თვითონ შალვა კი ორი-სამი კვალიფიციური მეშახტის მაგივრად მუშაობდა.

შალვა ფურცხვანიძემ მეშახტეთა შესანიშნავი რაზმი აღუზარდა ქვანახშირის მრეწველობას, ბევრ ახალგაზრდას ჩაუნერგა სამთო საქმისადმი სიყვარული. მისი აღზრდილი ე. ყანჩაველი ამჟამად უბანს ხელმძღვანელობს. ყველა იცნობს სახელოვან ახალგაზრდა მნგრეველს ი. ორჯონიკიძეს, რომელმაც პირველი ნათლობა შ. ფურცხვანიძის ქვანახშირის სანგრევში მიიღო. შეითვისა რა შ. ფურცხვანიძის მრავალი წლის მუშაობის გამოცდილება, ი. ორჯონიკიძე ყოველთვის შრომის მაღალ ნაყოფიერებას აღწევს. შ. ფურცხვანიძის აღზრდილები არიან ცვლის უფროსი ს. ლანჩავა, მნგრეველები ს. სოფრომაძე, გ. ცირეკიძე და სხვები. ეს მოწინავე ადამიანები ახლა გვერდით უდგანან აღმზრდელს და დავალებას დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ.

შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძე ამჟამად 51 წლისაა. მას დამსახურების [illegible] მაგრამ ეს სიძნელეები როდი აშინებს სახელოვან მნგრეველს.

ახლა შ. ფურცხვანიძე წინასაარჩევნო სტახანოვურ ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ანაღდებს. მიმდინარე წლის პირველი დღეებიდან იგი მომავალი წლის ანგარიშში იძლევა ქვანახშირს.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასა რიგითი მეშახტის შ. ფურცხვანიძის შრომა და დააჯილდოვა იგი ლენინის ორი ორდენით და სამი მედლით. მას მინიჭებული აქვს საპატიო მეშახტისა და ქვანახშირის ოსტატის წოდება.

მეშახტეთა ქალაქის ამომრჩევლები შ. ფურცხვანიძეს იცნობენ როგორც აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს, გულისხმიერ ადამიანს, საუკეთესო ამხანაგსა და მრჩეველს. მას მეშახტეთა ქალაქის არაერთი საჭირბოროტო საკითხი დაუყენებია ზემდგომ ორგანოებში, გამოსულა ნაკლოვანებათა კრიტიკით რესპუბლიკურ პრესაში და მიუღწევია მათი გამოსწორებისათვის. მას ხშირად სწერენ გულთბილ წერილებს საბჭოთა არმიის მებრძოლები, სთხოვენ შეატყობინოს თავისი საწარმოო მიღწევები. ბევრ რამეს ავალებენ ამომრჩევლებიც. არც ერთ წერილსა და თხოვნას შ. ფურცხვანიძე უყურადღებოდ არ ტოვებს. ამიტომ იყო, რომ ტყიბულელმა ამომრჩევლებმა სახელოვანი მეშახტე კვლავ დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამხ. შ. ფურცხვანიძის კანდიდატურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე რეგისტრირებულია ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ამბროლაურის № 136 საარჩევნო ოლქში.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# მქსოველი მაგდან ბურჯანაძე

მახარაძის აბრეშუმსახვევ-საქსოვი ფაბრიკის საამქროებში შესვენების დროს ამბავი მოვიდა, ფაბრიკის აღზრდილი მქსოველი მაგდან ბურჯანაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელესო. მასთან მომუშავე მეგობრები იგონებენ, რომ 1945 წელს მაგდან ბურჯანაძე იქ საბავშვო სახლიდან მივიდა. ფაბრიკის კოლექტივი გულთბილად შეხვდა მაგდანს. მან პირველი დღეებიდანვე მიიპყრო ყურადღება ბეჯითი შრომითა და ცოდნისმოყვარეობით. მალე აითვისა პარკის ხარშვის პროცესი და რამდენიმე თვის შემდეგ დამოუკიდებელ სამუშაოზე გადაიყვანეს. ახალგაზრდა მუშა ფაბრიკაშივე მიიღეს კომკავშირში.

1948 წელს მაგდან ბურჯანაძემ „ფრიადზე" დაამთავრა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა და სამუშაოდ დატოვეს საქსოვ საამქროში. გამოცდილი ოსტატების ხელმძღვანელობით ზედმიწევნით შეისწავლა საქსოვი დაზგა, საუკეთესო მქსოველთა მუშაობის მოწინავე ხერხები.

ახლა მ. ბურჯანაძე ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილის სამ საქსოვ დაზგას ამუშავებს. ფაბრიკაში მას იცნობენ როგორც წარმოების მოწინავე მუშაკს. საწარმოში ფართოდ ინერგება ახალგაზრდა მქსოველის მიერ შემუშავებული ცალკეული საწარმოო ოპერაციების შესრულების ჩქაროსნული ხერხები. მაგალითად, მას 16 წამში გაჰყავს ქსელის ძაფი დგიმთაცმასა და ფერდში ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 20 წამისა; მაქოს გამოცვლასა და ძაფის ძებნაზე 2-3 წამს ხარჯავს ნორმით გათვალისწინებული 4-5 წამის ნაცვლად. მ. ბურჯანაძე დაზოგილ დროში ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით 250 მეტრ ზოლიან ვისკოზის ტილოს უშვებს. დღეს რა შრომით ვახტზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად, მრავალდაზგოსანი მქსოველი სისტემატურად 120-130 პროცენტით ასრულებს ცვლის დავალებებს, უშვებს მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას.

მოწინავე მქსოველი ბეჯითად მუშაობს ცოდნის გასამდიდრებლად. ახლა იგი მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მეთერთმეტე კლასშია და ემზადება საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტზე შესასვლელად. იგი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის დავალებით სააგიტაციო მუშაობას ეწევა თავის კომპლექსში. მისი საუბრები ცხოველ ინტერესს იწვევს მსმენელებში.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად დაასახელა ახალგაზრდა მქსოველი, მოწინავე მუშაკი მაგდან დავითის ასული ბურჯანაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მ. დ. ბურჯანაძე რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში კენჭისსაყრელად. (საქტაგი).

## ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

გრძელდება ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან. ბოლნისში გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 145 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, ქ. თბილისის ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან დავით ალექსის-ძე ჩიქინაძესთან.

ლაგოდეხის კულტურის სახლში კავშირის საბჭოს არჩევნების თელავის № 635 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დირექტორს პართენ გიორგის-ძე ქემოკლიძეს. ნდობით აღჭურვილმა პირებმა იგი დაახასიათეს, როგორც რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე მტს-ის გამოცდილი ხელმძღვანელი.

აქვე გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სიღნაღის № 149 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორთან არჩილ გიორგის-ძე ნატროშვილთან. ნდობით აღჭურვილი პირები ლაპარაკობდნენ მასზე, როგორც მოწინავე მეცნიერზე, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია კოლმეურნე მეცხოველეებს.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის № 618 სასოფლო-საარჩევნო ოლქში თავის ამომრჩევლებს შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი სტალინირის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლის პედაგოგი ოლღა მაქსიმეს ასული გულიევა. ო. მ. გულიევა მოწინავე საბჭოთა პედაგოგია, რომელიც მთელ თავის ძალას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეს ახმარს.

ზნაურის რაიონის სოფელ ველების 200-ზე მეტი კოლმეურნე და მოსამსახურე შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სოფელ ზნაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ალექსი დავითის-ძე გაგიევს, რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზნაურის № 619 საარჩევნო ოლქში. გამოსულებმა იგი დაახასიათეს როგორც საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ხელმძღვანელი. (საქტაგი).

## აგრონომის რჩევა-დარიგება

# ნიადაგის ღრმად დამუშავება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის. ამ ღონისძიებათა შორის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგში არსებულ საკვებ ნივთიერებათა რეზერვების სწორად გამოყენებას. ამ საქმეში დიდი როლი ენიჭება ნიადაგის ღრმად ხვნას.

ცნობილია, რომ ნიადაგის დამუშავების არსებული წესი — ყოველწლიურად და ყველა კულტურისათვის ნიადაგის ერთსა და იმავე სიღრმეზე — 20-22 სანტიმეტრზე მოხვნა — კარგ შედეგს არ იძლევა. სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა და მეცნიერებმა შეიმუშავეს ნიადაგის ღრმად მოხვნის წესი, რაც აჩქარებს მცენარეთა ზრდა-განვითარებას და შესამჩნევად ამაღლებს მოსავლიანობას.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 27-28 სანტიმეტრზე სიღრმით მოხნულ ნიადაგებზე ხორბლის მაღალი მოსავალი მიიღეს. ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" და სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ღრმად ხვნის შედეგად საგრძნობლად იმატა ხორბლის, სიმინდის, თამბაქოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობამ.

ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საქმეში ღრმად ხვნის როლი თვალსაჩინო ხდება ეწერ ნიადაგზე წარმოებული ცდებით. ასეთი ნიადაგების ღრმად მოხვნის შედეგად უმჯობესდება მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, აგრეთვე მექანიკური შემადგენლობა. გარდა ამისა, ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად მკვეთრად იზრდება კულტურულ მცენარეთა ფესვებისათვის გამოსაყენებელი ნიადაგის სიღრმე და მთლიანად ისპობა ეწერ ნიადაგებში არსებული მავნე გაეწრებული ჰორიზონტი, უმჯობესდება ნიადაგში წყლის, ჰაერისა და კვების რეჟიმი, მათი ურთიერთდამოკიდებულება. ღრმად მოხვნა სარეველებთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სახნავი ფენის დაღრმავება (ჩაღრმავება) უფრო ეფექტიანია მზრალად ხვნის, შავი ანეულებისა და ადრეული ანეულების ხვნის დროს. მცირესახნავფენიან დაბალნაყოფიერ ნიადაგებში სახნავი ფენის დაღრმავება უნდა წარმოებდეს თანდათანობით — პირველად არაუმეტეს 2-3 სანტიმეტრისა. ეს ღონისძიება ძირითადი ხვნის დროს ხორციელდება იმ ანგარიშით, რომ თესვის დაწყებამდე მოესწროს ამობრუნებული ქვედა ფენის დაშლა. ღრმად ხვნის წარმოება უფრო შედეგიანია, როდესაც ხვნის წინ ნიადაგში შეტანილია ორგანული და მინერალური სასუქები, ეწერ ნიადაგებზე — კირშემცველი სასუქი, ხოლო მლაშე ნიადაგებზე — თაბაშირი.

ნიადაგში სასუქების შეტანის დოზები განსაზღვრულ უნდა იქნას იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს მოითხოვს ნიადაგი და რომელი კულტურის დასათესად მზადდება იგი.

ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს ღრმად ხვნისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ტრაქტორის წინასახნისიანი კულტურული გუთნები. ნიადაგიდან წყლის აორთქლების შემცირების მიზნით ადრეული ანეულების ღრმად მოხვნის დროს საჭიროა თანმიყოლებით ტარდებოდეს ფარცხვა. მზრალისა და შავი ანეულის ღრმად ხვნის დროს ფარცხვა საჭირო არ არის, რადგან ამ შემთხვევაში ნიადაგი უკეთ ითვისებს შემოდგომა-ზამთრის ნალექებს.

ღრმად მოხნულ ნაკვეთებზე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზმების მუშაობაც უფრო მაღალნაყოფიერია.

მიუხედავად იმ უპირატესობისა, რაც ღრმად ხნულს აქვს ზერელედ მოხნულთან შედარებით, მოსავლიანობის გადიდების ამ ძლიერ აგროტექნიკურ ღონისძიებას ბევრგან ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მტს-ები 1953 წელს საშემოდგომო ხორბლის დასათესად ნიადაგს ხნავდნენ არა უღრმეს 14-18 სანტიმეტრისა. საჭიროა ბოლო მოეღოს ნიადაგის ღრმად ხვნის მნიშვნელობის შეუფასებლობას. მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა სრულად უნდა გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება.

აგრონომი ვ. ჯანჯალაშვილი.

## ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის

ტრესტ „საქნავთის" დამხმარე მეურნეობა, რომელიც 1932 წელს ჩამოყალიბდა, განვლილი დროის მანძილზე მსხვილ, კეთილმოწყობილ მეურნეობად გადაიქცა. მის განკარგულებაშია ამჟამად 52 ჰექტარზე მეტი მიწა. აქ წარმატებით ვითარდება მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა.

უკანასკნელ წლებში მეურნეობის კოლექტივმა ერთგვარი წარმატება მოიპოვა მოსავლიანობის ამაღლების საქმეში. ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების 1952 წლის დავალება 156 პროცენტით შესრულდა, ხოლო 1953 წლის დავალება — 158,2 პროცენტით. აღნიშნულ წლებში მეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 286 ათასი მანეთი მოგება და 37,2 პროცენტით შემცირა მიღებული პროდუქციის თვითღირებულება. უფრო დიდი გადამეტებით შესრულდა საზამთროს, კომბოსტოს, პამიდორის, ხახვის, კიტრის, სუფრის ჭარხლისა და სხვა კულტურათა მოსავლიანობის გადიდების დავალებები.

მეურნეობას აქვს ოთხი ჰექტარი ხეხილის ბაღი, რომლის ნახევარი ფართობი ნაყოფის მომცემია. გასულ წელს მიღებულია 18 ტონა ხილი, ანუ გეგმის 180 პროცენტი.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს მეურნეობის პირველმა და მეორე ბრიგადებმა, რომლებსაც გამოცდილი მებოსტნეები ე. პუტნია და ს. ვოლკოვი ხელმძღვანელობენ. პირველმა მათგანმა ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმა 157 პროცენტით, ხოლო მეორემ — 160 პროცენტით გაანაღდა.

მეურნეობაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადები, რგოლები და ცალკეული მუშა-მოსამსახურეები ერთმანეთს ეჯიბრებიან მიღწევების გამრავლებაში.

საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი პერიოდულად იღებენ ფულად პრემია-წანამატს. მაგალითად, 1953 წელს მათ პრემია-წანამატის სახით მიეცათ ორმოცდაათი ათასი მანეთი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები ახალი შრომითი მიღწევებისათვის აღაფრთოვანა. მათ გადაწყვიტეს სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას უპასუხონ უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გაძლიერებით. წარმატებით ჩაიარა გასულ წელს მეზაღლობაში საშემოდგომო სამუშაოებმა, ამავე პერიოდში დაითესა ერთი ჰექტარი ნიორი, ერთი ჰექტარი ისპანახი, კვადრატულად დაირგო საადრეო კომბოსტო.

საკვალსათბურო მეურნეობაში, რომელიც 300 ჩარჩოს შეიცავს, უკვე მიღებულია საადრეო ბოსტნეულის ჩითილები.

მშვენივრად მოწყობილი შიდასაირიგაციო ქსელი საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში მოირწყას ხეხილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურათა ნათესის მთელი ფართობი.

წელს დავთესავთ 40 ჰექტარ ბოსტნეულსა და ბაღჩეულ კულტურებს. საამისოდ საკმაო რაოდენობით შეძენილია მაღალხარისხოვანი თესლეული „საქბოსტანჯიშთესლის" თბილისის სარაიონთაშორისო კანტორიდან.

მიმდინარე წლიდან მეურნეობაში ფართოდ დაინერგება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია, რითაც კიდევ უფრო გადიდდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, შემცირდება მისი თვითღირებულება, შემოკლდება სამუშაოთა შესრულების ვადები და მუშებს შეუმსუბუქდებათ შრომა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა მეურნეობის მთელი კოლექტივის სახელისა და ღირსების საქმეა.

ა. იორამაშვილი,
მეურნეობის დირექტორი.

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „რაისაბჭოს აღმასკომი და მექანიზატორები"

ამ სათაურით „კომუნისტის" მიმდინარე წლის 9 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის წერილი, რომელშიც მხილებულია მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაობის ნაკლოვანებანი. წერილში გაკრიტიკებულია აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომი სოფლად სამუშაოდ წასული სპეციალისტებისადმი არასაკმაო დახმარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. გ. სეხნიაშვილი გვაცნობებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. შემოწმების შედეგები განიხილა რაიკომის ბიურომ და დასახა საჭირო ღონისძიებანი მტს-ის მექანიზატორთა, ტრაქტორისტთა და სხვა მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და მის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

მიღებული ზომების შედეგად მექანიზატორები და კოლმეურნეობებში მომუშავე სპეციალისტები უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი ბინებით და გათბობა-განათებით, გაიხსნა მაღაზია, წითელ კუთხეში შექმნილია მუშაობის ნორმალური პირობები და სხვ.

# აფხაზეთის სახალხო პოეტი

### დიმიტრი გულიას დაბადების 80 წლისთავი

ჩვენი სამშობლოს ულამაზესი კუთხის — აფხაზეთის სახალხო პოეტს დიმიტრი გულიას 80 წელი შეუსრულდა.

ამ შესანიშნავ თარიღს აღნიშნავენ არა მარტო სოხუმისა და თბილისის მშრომელები, არამედ მთელი დიდი მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის მკითხველთა მასებიც. კომუნისტური პარტიის ბრძნულმა პოლიტიკამ ფართოდ გაუხსნა გზა საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის საერთო საგანძურისაკენ ყველა ხალხის შემოქმედებას, ჭეშმარიტ პოეტური ნიჭით აღბეჭდილ ყველა წიგნს, რა მცირერიცხოვანი ხალხის ენაზეც უნდა იყოს იგი შექმნილი.

სწორედ ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის პირობებში იქცა მთელი საბჭოთა ხალხის საერთო საკუთრებად სულეიმან სტალსკისა და ცადასას გულწრფელობით, ხალხური უშუალობით ამღერებული შესანიშნავი ლექსები.

დიმიტრი გულიას პოეზია ბევრით ენათესავება ამ დაუვიწყარ თანამედროვეთა შემოქმედებას. მათსავით მასაც წილად ხვდა ყოფილიყო თავისი ხალხის ლიტერატურის დამწყები და ფუძემდებელი, აფხაზურ ენაზე დაბეჭდილი ლექსების პირველი წიგნის ავტორი.

დიმიტრი გულიას შემოქმედებას მარტო აფხაზური ზეპირსიტყვაობა როდი ასაზრდოებდა. იგი მწერლობაში მოვიდა უკვე განსწავლული კაცის დაკვირვებითა და გამოცდილებით, თავის მიერ დაწყებულ აფხაზურ ლიტერატურაში მოიტანა დიდი რუსული და ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციები.

1924-25 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის კურსს კითხულობდა, 1929 წელს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების ნამდვილ წევრად იქნა არჩეული, ხოლო 1937 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით მას ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა.

დ. გულიას ბევრი მეცნიერული ნაშრომი აფხაზეთის ფოლკლორისტიკიდან და ეთნოგრაფიიდან, მისი დაკვირვებანი აფხაზურ ენაზე და გამოკვლევანი აფხაზეთის ისტორიაში თავის დროზე მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ჩვენი მეცნიერებისათვის. დიმიტრი გულიამ შექმნა პირველი აფხაზური კალენდარი. მან კ. მაჭავარიანთან ერთად შეადგინა პირველი აფხაზური ალფაბეტი და 1892 წელს გამოსცა პირველი აფხაზური ანბანი.

აფხაზეთის სახალხო პოეტის მთელი ბიოგრაფია დაკავშირებულია საქართველოსთან. იგი სწავლობდა გორში და მის პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის გავლენა ჰქონდა.

რა მნიშვნელოვანიც უნდა იყოს დიმიტრი გულიას საზოგადოებრივი ღვაწლი, იგი ჩვენთვის, მისი პატივისმცემლებისათვის, პირველ რიგში პოეტია და თავისებური პოეტიც.

80 წლის პოეტი დღესაც ჭაბუკური ენერგიითა და შთაგონებით უმღერის სოციალისტური სამშობლოს ყოველ ახალ გამარჯვებას, ყველა ჩვენი მონაპოვარისა და მიღწევის შემოქმედს — დიად კომუნისტურ პარტიას. მისი ლექსების კრებული პარტიისადმი ჰიმნით იხსნება. არ არის ჩვენი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელსაც პოეტი ლექსებით არ ეხმაურებოდეს.

ოქტომბრის დიდ რევოლუციას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას პოეტი მიესალმა, როგორც მზის ამოსვლას მშობლიურ მთებში.

განსაკუთრებული სიყვარულით არის გამთბარი დ. გულიას ლექსები, მიძღვნილი ხალხთა საყვარელ ბელადის ვ. ი. ლენინისადმი, მისი უკვდავი საქმის დიდი გამგრძელის ი. ბ. სტალინისადმი.

პოეტი დგას მავზოლეუმში და ფიქრით ესაუბრება ლენინს, უამბობს ჩვენი სამშობლოს დიად გამარჯვებებზე, სიხარულით აუწყებს, რომ

დღეს ჩვენთან არის დიდი ჩინეთი
და ნახევარი მთელი ქვეყნისა!

სტალინის მხედართმთავრული ნიჭით აღფრთოვანებული, ფაშისტთა ურდოების განადგურებით აღტაცებული პოეტი უმღერის სამშობლოს გამარჯვებას, გმირი საბჭოთა არმიის ძლევამოსილებას.

დიმიტრი გულიას პოეზია საბჭოთა ხალხის გმირული შემოქმედებით სუნთქავს. მის ლექსებში ისმის ვოლგა-დონის არხში გასული გემების გუგუნი და ჯებირის ბილიკებით მთებში მიმავალი გეოლოგების სიმღერა. პოეტის სტრიქონები გამოხმაურებენ უკრაინის ჯეჯილების წყნარ ღელვასა და რუსთავის ღუმელების თვალისმომჭრელ ელვარებას. მისი წიგნების უმთავრესი თემა ხალხთა მეგობრობაა.

პოეტს ახარებს საბჭოთა ხალხის გამარჯვება ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხეში. იგი მარტო აფხაზურ სტუმართმოყვარეობას როდი ამღერებს, როცა მის მშობლიურ სოხუმში დასასვენებლად ჩამოსულ საბჭოთა ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენელს ეგებება სიხარულით. იგი ამ ფაქტში ხედავს საბჭოთა ხალხების მტკიცე მეგობრობის გამოვლინებას და აღფრთოვანებული ამბობს:

მახარებს გული, რომ ქალაქი ჩემი
მთავარ ჩემსავით შეჰყვარებიათ.

ხალხთა მეგობრობის თემაზე დაწერილი ლექსებიდან ცალკე აღსანიშნავია „რუსთაველის ძეგლი სოხუმში".



დ. გულია

* * *

დიმიტრი გულიას ლირიკა თავისებური და საინტერესოა. აფხაზეთის ბუნების განუმეორებელი სილამაზე პოეტმა რბილი და მიმზიდველი ფერებით გადმოსცა. თავისი დამოკიდებულება მშობლიური ბუნებისადმი შესანიშნავად გამოხატულია ლექსში „მთები და ზღვა".

მოვდივარ, ვმღერი და მეჩქარება,
ლექსში გადმოვცე ზღვის მღელვარება
და თოვლიანი მთის ელვარება,
სიღრმე ზღვისა და სიმაღლე მთათა...

როგორც ბევრ კარგ პოეტს, დ. გულიასაც აქვს შესანიშნავი საბავშვო ლექსები. ამ ლექსებში იგი, ბავშვებისათვის გასაგები ენით უმღერის აფხაზეთის მთიანი სოფლების ახალ ყოფას, ჩვენი ბავშვების ბედნიერ ცხოვრებასა და სწავლას.

ასე ნათელი და მზიურია დიმიტრი გულიას შემოქმედება, როცა იგი ჩვენს დღეებს, ოქტომბრის რევოლუციით აღორძინებული ჩაგრული ხალხების ახალ, თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას უმღერის.

შავბნელი და მწუხარე იყო ჩვენი ხალხის ცხოვრება ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე. ნაღვლითა და სევდით სავსეა დიმიტრი გულიას რევოლუციამდელი შემოქმედებაც. მასაც, ჩვენი კლასიკოსების მსგავსად, აწუხებდა ბედი მიჯაჭვული აბრასკილის — აფხაზური ფოლკლორის ამირანისა, რომელიც უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოროტ ძალებს დროებით დაემარცხებინათ და რკინის პალოზე დაებათ. პოეტს დიდი აკაკის მსგავსად სჯეროდა, რომ აბრასკილი — ამირანი გაწყვეტს ჯაჭვს და დაუმკვიდრებს ადამიანებს ბედნიერ, სამართლიან ცხოვრებას.

დიმიტრი გულია ხედავდა მშრომელთა დუხჭირ ცხოვრებას, სწამდა ხალხის ძალა სამართლიანობისათვის, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ეს მებრძოლი ოპტიმიზმი, მჩაგვრელთა წინაშე ქედუხრელობისა და გარდუვალი გამარჯვების რწმენა წითელ ზოლად გასდევს პოეტის მთელ რევოლუციამდელ შემოქმედებას.

ხალხის ძალებისადმი ასეთივე რწმენით არის გამსჭვალული დიმიტრი გულიას პროზაც და კერძოდ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ბელეტრისტული ნაწარმოები „კამაჩიჩი". ამ ნაწარმოებში ავტორმა დაგვიხატა რევოლუციამდელი აფხაზეთის შავბნელი ცხოვრება. რომანის გმირი ქალი კამაჩიჩი ხალხის გმირული სულის განმსახიერებაა. ეს კეთილშობილი გლეხის გოგონა ხმას იმაღლებს არაადამიანური ცხოვრების, ძველი, ფეოდალური ყოფის, თავადების, კულაკებისა და ჩარჩების ბატონობის წინააღმდეგ.

ასევე საინტერესოა დიმიტრი გულიას „პატარა მოთხრობები". მათში ავტორი შესანიშნავად იყენებს აფხაზურ ფოლკლორს, გონებამახვილ ხალხურ იუმორს, ხატავს რევოლუციამდელი აფხაზური ყოფის დამახასიათებელ სახეებს.

ცალკე აღსანიშნავია დიმიტრი გულიას დრამები, მათი როლი აფხაზეთის თეატრის განვითარებაში.

დიმიტრი გულიას ლიტერატურული მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მთარგმნელობითი მუშაობა. მან მშობლიურ ენაზე თარგმნა რუსული და ქართული კლასიკური ლიტერატურის შედევრები, უკრაინელი და სხვა ძმობილი ხალხების პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. რუსულიდან — „იგორის ლაშქრობის ამბავი", პუშკინის, კრილოვის, ლერმონტოვისა და ნეკრასოვის წიგნები, ქართულიდან — შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და დანიელ ჭონქაძის ნაწარმოებები.

ნაყოფიერ პოეტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას დღესაც განაგრძობს 80 წლის მოხუცი პოეტი. მისი პოეზია და საზოგადოებრივი მუშაობა დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს აფხაზეთის მშრომელთა შორის. ამ საყოველთაო აღიარების საუკეთესო დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის მშრომელებმა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

ვუსურვოთ მხცოვან პოეტს კიდევ დიდხანს იცოცხლოს და იმღეროს თავისი ბედნიერი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გრიგოლ აბაშიძე,
სტალინური პრემიის ლაურეატი.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომაზე

ბერლინი, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომაზე პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის გამოსვლის შემდეგ გაიმართა კამათი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადების გამო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. კამათში გამოსულმა დეპუტატებმა თავიანთი ფრაქციების სახელით მოიწონეს მთავრობის განცხადება.

სხდომის დასასრულს სახალხო პალატის თავმჯდომარემ ი. დიკმანმა ყველა ფრაქციის სახელით განაცხადა:

სახალხო პალატა სავსებით იწონებს პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის მიერ მთავრობის სახელით გაკეთებულ განცხადებას და მოუწოდებს გერმანელ ხალხს გერმანიის აღმოსავლეთსა და დასავლეთში მტკიცედ დაადგეს მშვიდობისა და ერთიანობის გზას, რომელიც დასახა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ.

## ეჟენი კოტონის განცხადება

პარიზი, 25 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარის ეჟენი კოტონის განცხადება ქალთა მომავალი საერთაშორისო დღის 8 მარტის გამო.

კოტონი აღნიშნავს, რომ მთელი მსოფლიოს ქალები ისწრაფვიან თავიდან აიცილონ ომი და უზრუნველყონ ბედნიერება თავიანთი შვილებისათვის. ყველაზე მთავარი დაბრკოლება ამ ბედნიერების გზაზე, წერს იგი, ომია, აი ამიტომ ფრანგი ქალები იბრძვიან მშვიდობის განმტკიცებისათვის. „წლითიწლობით, — წერს კოტონი, — ძლიერდება ქალთა, დედათა ბრძოლა ომის წინააღმდეგ. მსოფლიოს მთელ ძალებთან ერთად საფრანგეთის ქალები მიესალმნენ კორეაში დროებითი ზავის ხელმოწერას. მსოფლიოს მთელ ძალებთან ერთად საფრანგეთის ქალები ახლა მოითხოვენ შეწყდეს ომი ვიეტნამში და მშვიდობიანად მოწესრიგდეს გერმანიის პრობლემა“.

## დალესის გამოსვლა რადიოთი

ვაშინგტონი, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი რადიოთი გამოვიდა განცხადებით ბერლინის თათბირის შედეგების შესახებ.

თავის განცხადებაში დალესი, ამართლებდა რა ბერლინის თათბირზე მის მიერ დაკავებულ პოზიციას, ცდილობდა საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა ბრალი, რომ თათბირზე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას გერმანიისა და ავსტრიის საკითხებზე.

დალესმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მას ორი პირადი საუბარი ჰქონდა ვ. მ. მოლოტოვთან საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლასთან ატომის ენერგიის შესახებ. „ჩვენ, — თქვა დალესმა, — შევთანხმდით პროცედურის დარგში შემდგომი ნაბიჯის შესახებ, რომელიც გამოიხატება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის აზრთა გაცვლით საბჭოთა კავშირის ვაშინგტონის საელჩოს მეშვეობით“.

## გაიხსნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობა

სოფია, 25 თებერვალი. (საკდესი). დღეს სოფიაში გაიხსნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით ყრილობა გახსნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა გიორგი დამიანოვმა. მან წინადადება შეიტანა ფეხზე ადგომით ეცათ პატივი გენიალური ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინისა და ბულგარელი ხალხის ბელადისა და მასწავლებლის გიორგი დიმიტროვის ხსოვნისათვის. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა აგრეთვე ვასილ კოლაროვის, ვლადიმერ პოპტომოვისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სხვა მოღვაწეთა ხსოვნას, რომლებიც პარტიის V ყრილობის შემდეგ გარდაიცვალნენ.

გიორგი დამიანოვი გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომელიც ყრილობას ესწრება, აგრეთვე სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებს. დარბაზში იმართება ხანგრძლივი ოვაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე პარტიების პატივსაცემად.

ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები. არჩეულ იქნა აგრეთვე ყრილობის სხვა ორგანოები.

ყრილობის დელეგატებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვილკო ჩერვენკოვი.
2. ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე იორდანე კატრანჯიევი.
3. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წესდებაში შესატანი ცვლილებანი — მომხსენებელი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტოდორ ჟივკოვი.
4. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პირველ პუნქტზე — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ამხანაგ ვილკო ჩერვენკოვს, რომელსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

სოფია, 25 თებერვალი. (საკდესი). სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ი. კატრანჯიევის მოხსენების შემდეგ სიტყვა მიეცა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. პ. ნ. პოსპელოვს, რომელსაც ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ. ამხ. პ. ნ. პოსპელოვმა გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი მისალმება:

### ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მე-6 ყრილობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უძღვნის ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მეექვსე ყრილობას.

ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ დიდი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტურ მშენებლობასა და სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბულგარელი ხალხი წარმატებით ქმნის საკუთარ მრეწველობას, გარდაქმნის სოფლის მეურნეობას, ავითარებს სოციალისტურ კულტურას.

სულით და გულით ვუსურვებთ ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას ახალ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში და სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის როგორც სახალხო-დემოკრატიული წყობილების საფუძვლის, განმტკიცებისათვის, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხების ურღვევ მეგობრობას!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

დარბაზში მქუხარე ოვაცია გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად. დარბაზში გაისმის შეძახილები: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — სამარადისო მეგობრობა!

## კამათი ინგლისის თემთა პალატაში

### ბერლინის თათბირის შედეგების შესახებ

ლონდონი, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. იდენმა თემთა პალატაში გახსნა ბერლინის თათბირისადმი მიძღვნილი ორი დღის კამათი.

იდენმა გაიმეორა დასავლეთის ზოგიერთი პროპაგანდისტის თეზისი, თითქოს ბერლინის თათბირს „იმედგაცრუების გრძნობა გამოეწვიოს“. მიუხედავად ამისა, აღიარა იდენმა, თათბირს გარკვეული სარგებლობა მოჰყვა. მიღწეულია შეთანხმება მოწვეულ იქნას თათბირი ჟენევაში, რაც, იდენის სიტყვით, შეიძლება „მცირე მიღწევად ჩაითვალოს“. უთანხმოება გერმანიისა და ავსტრიის საკითხებზე, ხაზგასმით აღნიშნა მან, დიდი იყო, რადგან გერმანიისა და ავსტრიის პრობლემა „მთავარი სიძნელეა“ ევროპაში.

იდენის სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა გერმანიის საკითხში ინგლისისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა პოზიციის დაცვას. მან განაგრძო დაცვა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანებისა“ და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისა.

დასასრულ იდენმა განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა უნდა განაგრძონ თავიანთი სამხედრო ღონისძიებანი.

იდენის შემდეგ კამათში გამოვიდა ოპოზიციის ლიდერის მოადგილე ლეიბორისტი მორისონი, რომელმაც თქვა, რომ ბერლინის თათბირს თავისი დადებითი მომენტები აქვს, თუმცა გამოსვლებში „ერთგვარი სიმკვახეც“ იყო.

შემდეგ მორისონმა თქვა, რომ პარლამენტის ლეიბორისტული ფრაქციის რიგებში არის მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც წინააღმდეგია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკისა, რასაც მთავრობა ახორციელებს. მორისონმა აღიარა, რომ „პარლამენტს გარეთ ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც თანაუგრძნობს ამ ჯგუფის თვალსაზრისს“. მიუხედავად ამისა, მორისონმა ილაპარაკა ლეიბორისტების იმ ნაწილის სახელით, რომლებიც მხარს უჭერენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკას.

## ამერიკის ბაზების მშენებლობა საბერძნეთის ტერიტორიაზე

ათენი, 25 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „ვიმა“ თავის მეორე სტატიაში კრეტაზე ამერიკის ბაზების მშენებლობის შესახებ წერს, რომ კრეტის სამხრეთ სანაპიროს მესარას ველზე მიმდინარეობს მუშაობა ტიმბაკის აეროდრომის გასაფართოებლად. „მძიმე ბომბდამშენებს, — ნათქვამია სტატიაში, — შეუძლიათ აფრინდნენ ტიმბაკის აეროდრომიდან და დარტყმები მიაყენონ ბალკანეთისა და საბჭოთა კავშირის სამხრეთი რაიონების ობიექტებს. მიღებულია გადაწყვეტილება გადააქციონ ტიმბაკის აეროდრომი საბერძნეთის ერთ-ერთ მთავარ საჰაერო ბაზად... ამ აეროდრომის შესაქმნელად ამოძირკულია 15 ათასი ძირი ზეთისხილის ხე და კონფისკებულია სახნავ-სათესი მიწის დიდი ნაკვეთები. გრძელდება მუშაობა აეროდრომის გასაფართოებლად. რაც შეეხება ორ სხვა აეროდრომს ჰერაკლიონის რაიონში, ისინი, როგორც ჩანს, განკუთვნილია გამანადგურებელი თვითმფრინავებისათვის“.

საბერძნეთის სხვა გაზეთების ცნობებიც ცხადყოფენ, რომ ავიაციის ბაზები იქმნება აგრეთვე დოდეკანეზის კუნძულებზე, თუმცა იტალიასთან საზავო ხელშეკრულებით, რომლითაც ეს კუნძულები საბერძნეთს გადაეცა, ისინი დემილიტარიზებული უნდა დარჩეს. 1953 წლის 26 თებერვალს გაზეთი „აპოევმატინი“ იუწყებოდა, რომ „მარიცის (კუნძული როდოსი) აეროდრომის ხელახალი მოწყობისათვის გაღებულია 2.500 მილიონი დრაჰმი“. ანალოგიური ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „ესტიამ“ ჯერ კიდევ 1953 წლის 24 დეკემბერს.

## ჩეხოსლოვაკიის ხალხის მოღალატეებს განაჩენი გამოუტანეს

პრაღა, 25 თებერვალი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამას წინათ პრაღის სამხედრო ტრიბუნალში მიმდინარეობდა არალეგალური ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის „დააკის“ ხელმძღვანელთა პროცესი.

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ ბოგუმილ კოკრდა, მილოსლავ ნოვაკი, სტანისლავ ცაბა და სხვები, რომელნიც შედიოდნენ არალეგალური ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის „დააკის“ ხელმძღვანელობაში, აგრეთვე კარელ ნოვაკი და ფრანტიშეკ ტიხი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ანტისახელმწიფოებრივ ჯგუფს „ქრისტიან დემოკრატთა პარტიას“, იოზეფ პეკა, იან ფარა და ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფის ეგრეთწოდებული „მესამე წინააღმდეგობის ძმობის“ სხვა მონაწილენი. ორი უკანასკნელი ჯგუფი თავიანთ გამცემლურ მოღვაწეობაში მჭიდროდ თანამშრომლობდა „დააკის“ ორგანიზაციასთან.

ბრალდებულთ ბრალად ედებოდათ სამშობლოს ღალატი და ჯაშუშობა. ზემოაღნიშნული ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფის პროგრამაში შედიოდა სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამხობა, კაპიტალიზმის რესტავრაცია და ჩეხოსლოვაკიის დამორჩილება ამერიკის იმპერიალიზმისათვის.

ტრიბუნალმა ბოგუმილ კოკრდას და მილოსლავ ნოვაკს მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა, დანარჩენ ბრალდებულთ მიესაჯათ პატიმრობა სხვადასხვა ვადით — 15-დან 25 წლამდე, ქონების კონფისკაცია და სამოქალაქო უფლებების აყრა.

## მდგომარეობა სირიაში

პარიზი, 25 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, იმოწმებს რა „სირიის არალეგალური რადიოსადგურის“ ცნობებს, იუწყება, რომ ქალაქ ალეპოში თითქოს „მოხდა აჯანყება შიშეკლის წინააღმდეგ“.

## სპორტის ამბები

### საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში

ბუდაპეშტი, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ბუდაპეშტში საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებაში თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის პირველი გუნდი შეხვდა ბულგარელ მოჭიდავეებს. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 8:0. საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიპოვეს სამი სუფთა გამარჯვება — გაბარაევმა იანჩევზე (3 წუთსა და 40 წამში), ბალავაძემ სტანჩევზე (14 წუთსა და 30 წამში) და ხსირტლაძემ სირაკოვზე (12 წუთსა და 54 წამში); ხუთი გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს მიესაჯათ ქულების მიხედვით.

სსრ კავშირის მეორე გუნდის მოჭიდავეებმა ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა გუნდი დაამარცხეს ანგარიშით 7:1.

ამრიგად, შეჯიბრების მეოთხე დღის შემდეგ წინ არის სსრ კავშირის პირველი გუნდი, რომელმაც 6 ქულა მოაგროვა; მეორე ადგილზეა უნგრეთის გუნდი, რომელმაც 4 ქულა მოაგროვა.

### საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ახალი გამარჯვება

ლენინგრადი, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ზამთრის სტადიონზე დამთავრდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ტანვარჯიშში სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ვაჟთა გუნდებს შორის. ნებისმიერი პროგრამის ვარჯიშის შესრულების შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა, რომელმაც 344,10 ქულა მოაგროვა.

სავალდებულო პროგრამის ვარჯიშის შესრულებაში ფინელ ტანმოვარჯიშეებს მონაწილეობა არ მიუღიათ. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა დაძაბული სპორტული ბრძოლით დამთავრდა. გამარჯვება მოიპოვეს სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეებმა. საბჭოთა გუნდმა ნებისმიერი და სავალდებულო ვარჯიშის შეფასების ჯამით 690,55 ქულა მოაგროვა, ჩეხოსლოვაკიის გუნდმა კი — 671,90 ქულა.

პირად ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ახალგაზრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ბ. შახლინმა — 115,25 ქულა 120 შესაძლებელში. მეორე ადგილზეა სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. მურატოვი — 115,2 ქულა. წარმატებით გამოვიდა ჩეხი ტანმოვარჯიშე ვ. დანეში. მან გაიყო 6-7 ადგილი პირად პირველობაში და საუკეთესო შედეგებს მიაღწია თავისუფალი ვარჯიშისა და ორძელზე ვარჯიშის შესრულებაში.

### საქართველოს პირველობაზე ჭადრაკში

პირველი ტურის გათამაშებისას თბილისის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დიდი დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით. ყველა დაფაზე შინაარსიანი და საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა.

ყველაზე ადრე დამთავრდა გიორგაძე-შიშოვის შეხვედრა. მოწინააღმდეგენი მე-19 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

რთულ სადებიუტო სისტემაში კალატოზიშვილმა პარტიაში ფრუიძესთან ვერ მონახა თამაშის აქტიური გეგმა. ორი პაიკის, შემდეგ ეტლის მოხდენილი შეწირვით 23-ე სვლაზე ფრუიძემ გაიმარჯვა.

გურგენიძე ჩიქოვანთან შუა თამაშში ხარისხის შეწირვით ეტლით და ლაზიერით შეიჭრა მოწინააღმდეგის მეშვიდე ჰორიზონტალზე. გამსვლელი პაიკის შექმნით გურგენიძემ აიძულა ჩიქოვანი დანებებულიყო. ბუსლაევმა დაამარცხა მიქაელიანი. სმირნოვ-არნშტეინის პარტია ყაიმით დამთავრდა.

სამი პარტია გადადებულია. ელიოზიშვილს ლ. ჯახუასთან (ქუთაისი) ზედმეტი ფიგურა აქვს, ხოლო ნიკოლიშვილს ჯაკობიასთან ორი ზედმეტი პაიკი. ბლაგიძე-მაჭავარიანის პარტიაში თანაბარი მდგომარეობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქპურტრესტის № 3 პურსაცხობი კომბინატის პირველი საკონდიტრო და საფუნთუშე წარმოება 1953 წლის მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა — საუკეთესო ხარისხის პროდუქციის სამქროს სახელწოდება მოიპოვა და საპატიო სიგელი მიიღო. ახალი წლიდან წარმოების კოლექტივს კვლავ დიდი შრომითი მიღწევები აქვს. მან იანვრის გეგმა 114,8 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 4.600 კილოგრამი საკონდიტრო ნაწარმი — ტორტი, ფუნთუშეული, ტკბილი ნამცხვარი და სხვა. განსაკუთრებით მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვს წარმოების უხუცეს ოსტატს ხ. ჯოხაძეს, რომელიც დავალებას სისტემატურად საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას ამზადებს.

**სურათზე:** წარმოების უფროსი ოსტატი ხ. ჯოხაძე ამოწმებს მზა პროდუქციის ხარისხს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ი. ა. კახიანი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში;

ამხ. ი. დ. ბრთმელაძე — საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან;

ამხ. ზ. მ. კვინიხიძე — საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრის მოადგილედ მშენებლობის დარგში;

ამხ. ვ. კ. გადაჭკორია — საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა ამხ. მ. ფ. ჩხეიძე საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

## მ ე გ ო ბ რ უ ლ ი ი ნ ტ ე რ ვ ი უ

### ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა გაზეთების რედაქტორები გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს საბჭოთა კავშირზე.

**1953 წლის 28 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა გაზეთების რედაქტორების ჯგუფი შვიდი კაცის შემადგენლობით ესტუმრა საბჭოთა კავშირს. მოსკოვის დათვალიერების შემდეგ დელეგაცია ორ ჯგუფად გაიყო. ერთი ჯგუფი ეწვია ლენინგრადს, მინსკს, კიევს, ხარკოვსა და თბილისს. მეორე ჯგუფმა ინახულა ხარკოვი, ოდესა, კიევი, ბაქო და თბილისი. ამერიკელმა სტუმრებმა ორ კვირაზე მეტი იმოგზაურეს და გაეცნენ უნივერსიტეტებსა და საშუალო სკოლებს, ეწვივნენ კოლმეურნეობებს, ინახულეს საბჭოთა მოქალაქეების ბინები, ესწრებოდნენ სტუდენტთა კონცერტებს, ესაუბრებოდნენ საბჭოთა მოქალაქეებს.**

**17 იანვარს დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა. ჟურნალ „News“-ის კორესპონდენტმა ინახულა ისინი და სთხოვა გაეზიარებინათ „News“-ის მკითხველებისათვის თავიანთი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირის შესახებ.**

**ქვემოთ შემოკლებით ქვეყნდება ჟურნალ „News“-ის კორესპონდენტის კითხვები და ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა გაზეთების რედაქტორების პასუხები.**

★ ★ ★

**კითხვა:** რომელი ქალაქები და სააღმზრდელო დაწესებულებები ინახულეთ და როგორია თქვენი შთაბეჭდილება? თქვენი აზრით, რა გზით შეიძლება გაძლიერდეს მეგობრული ურთიერთობა ამერიკელ და საბჭოთა სტუდენტებს შორის?

**უარდი:** ლენინგრადში ჩვენ ვინახულეთ პოლიტექნიკური ინსტიტუტი და რეპინის სახელობის სამხატვრო სკოლა, მინსკში პოლიტექნიკური ინსტიტუტი, კიევში სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხარკოვში პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეცხრამეტე საშუალო სკოლა. დელეგაციის მეორე ჯგუფი იყო აზერბაიჯანში ნავთობის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაეცნო ხარკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტს. ოდესაში ჩვენმა კოლეგებმა დაათვალიერეს სასურსათო ინსტიტუტი, კიევში ქვანახშირის ტექნიკუმი და მეექვსე საშუალო სკოლა. მოსკოვში ყველა ჩვენგანს ჰქონდა შესაძლებლობა ეწვეოდა სახელმწიფო უნივერსიტეტს ლენინის გორაზე.

**კითხვა:** რა შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე მათ, ვისაც თქვენ შეხვდით და ესაუბრეთ?

**უარდი:** ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის, რადგან ძალიან ბევრ ადამიანს შევხვდით. თუმცა ძირითადად ვესაუბრეთ სტუდენტთა გაზეთების რედაქტორებსა და სტუდენტებს. სადაც კი ჩავედით, ყველგან გულთბილად მიგვიღეს. ჩვენ გაგვაოცა იმ ფაქტმა, რომ სხვადასხვა სახის სააღმზრდელო ინსტიტუტებში შევხვდით ინგლისურ ენაზე თავისუფლად მოლაპარაკე სტუდენტთა დიდ რიცხვს.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ხარკოვის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა. აქ ჩვენ ვესაუბრეთ სტუდენტების ჯგუფს და სტუდენტთა გაზეთების რედაქტორებს. დეტალურად გავეცანით სტუდენტთა პრესის მუშაობას. ერთ-ერთი სტუდენტი, რომელსაც ჩვენ ვესაუბრეთ, არა მარტო კარგად ფლობდა ინგლისურ ენას, არამედ მშვენივრად იცნობდა შეერთებული შტატების ცხოვრებასაც. დამახასიათებელია, რომ მრავალი სტუდენტი კარგად იცნობს შეერთებული შტატების ცხოვრებას. იყო ისეთი დღეებიც, როცა ჩვენ სტუდენტების ყველა კითხვაზე ვერ ვუპასუხებდით. თუმცა ყოველთვის ცხარე კამათი მიმდინარეობდა, მაგრამ საუბარს მაინც მეგობრული ხასიათი ჰქონდა. დელეგაციაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის ერთ-ერთმა საშუალო სკოლამ, კერძოდ ინგლისური ენის გაკვეთილმა. მართალია, მოწაფეებს არა აქვთ ბრწყინვალე გამოთქმა, მაგრამ მათ უეჭველად კარგად იციან ენა და საფუძვლიანადაც სწავლობენ. ამან აღგვაფრთოვანა. მოსწავლეები ბაირონის ერთ-ერთ ნაწარმოებს განიხილავდნენ. ცხადი იყო, რომ მათ ესმოდათ ამ ნაწარმოების არსი.

**ბარნეი:** მე თითქმის ყველაფერში ვეთანხმები ჩემს კოლეგას მისტერ უარდს. შესაძლებელია, რომ ჩვენი ჯგუფი არ შეხვედრია ისეთ დიდ რიცხვს სტუდენტებისას, რომლებმაც კარგად იციან ინგლისური ენა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ასპირანტების ჯგუფს, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ თბილისში, უეჭველად ჰქონდა გასაოცარი ცოდნა არა მარტო ინგლისური ენისა, არამედ აგრეთვე შეერთებული შტატების ცხოვრებისა.

მინდოდა აგრეთვე აღმენიშნა ის სტუმართმოყვარეობა, რომლითაც გვხვდებოდნენ ყველგან, სადაც კი ჩავედით.

ჩემზე პირადად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დიდმა აღმშენებლობამ. მე ვნახე ფოტოსურათები საშინელი ნანგრევებისა, რომლებიც ომის შედეგი იყო. კოლოსალური მშენებლობა ყველა ქალაქებში, რომლებსაც მე ვეწვიე, ჭეშმარიტად გასაოცარია. ვფიქრობ, რომ ცხოვრების დონე სოფლებში უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქებში, და რომ ამ მხრივ კიდევ დიდი მუშაობა იქნება საჭირო. თუ რა მიზანი აქვს საბჭოთა სოფლის მეურნეობას, ჩვენ ეს დავინახეთ, როდესაც ვინახულეთ ერთ-ერთი საკვლევი ფერმა. იქ ვნახეთ მოდელები სხვადასხვა მანქანებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობას ესაჭიროება ადამიანის შრომის გასაადვილებლად.

**ელდენი:** მე ვინახულე მრავალი სკოლა და სააღმზრდელო დაწესებულება, აგრეთვე შევხვდი და ვესაუბრე მრავალ სტუდენტს და საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს. მეც აგრეთვე მინდა აღვნიშნო ის მეგობრული და გულწრფელი მიღება, რომლითაც გვხვდებოდნენ ყველგან. მე აღმაფრთოვანა საბჭოთა სტუდენტების სწავლის პირობებმა, სამეცადინო ოთახებმა და ლაბორატორიებმა.

**აივეს:** მეც მქონდა პატივი მესაუბრა სტუდენტებთან, გაზეთების რედაქტორებთან და ჩვეულებრივ საბჭოთა მოქალაქეებთან. ყველა მათგანი, როგორც წესი, სურვილს გამოთქვამდა გასცნობოდა შეერთებული შტატების ცხოვრებას და პირადად ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ ხშირად გვეკითხებოდნენ, საიდან ვიყავით ჩამოსულნი.

**ლოვიტი:** თბილისში ვინახულე ქალთა მე-19 საშუალო სკოლა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეთა სერიოზულმა დამოკიდებულებამ გაკვეთილისადმი. ეს ფრიად სასიამოვნოა.

**შჩოელკოფი:** ის, რამაც ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, გახლდათ რუსული ბალეტი კიევში. მე მქონდა შესაძლებლობა მესაუბრა კომპოზიტორ დიმიტრი შოსტაკოვიჩთან, რომელმაც ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. მე მისი მუსიკის თაყვანისმცემელი ვარ. დამაინტერესა სკოლებისა და საბავშვო ბაღების ცხოვრებამ. ვინახულე კიევის საბავშვო ბაღი, რომლის პროგრამა, მოწყობილობა და აღმზრდელობითი მეთოდი, მე ვფიქრობ, შეიძლება ნიმუშად აქნას აღებული საბჭოთა კავშირში.

**შაკრი:** დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა მენახა ადგილები, რომელთა ნახვაც მსურდა. კიევმა, ოდესამ და ხარკოვმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვიყავით კოლმეურნეობაში, ვესაუბრეთ მის თავმჯდომარეს. ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა ის საშინელი გაჩანაგება, რომელიც ომს მოჰყვა. როდესაც კოლმეურნეებმა გვითხრეს, რომ ისინი იღწვიან მშვიდობისათვის, ჩვენ მივხვდით, რომ ეს იყო მათი ნამდვილი სურვილი, რადგან საკუთარი თვალით ვნახეთ, თუ რამდენი შრომა დახარჯეს ომის მიერ მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. მე ძალიან მესიამოვნა, რომ კოლმეურნეობებში გვეკითხებოდნენ—რა არ მოგვწონთ ჩვენს კოლმეურნეობაში. მაგრამ არ მომეწონა ის ფაქტი, რომ სტუდენტები ერთფეროვან შეკითხვებს იძლეოდნენ. არ ვიცი, რით ავხსნა ეს. მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ.

**უარდი:** მე ვერ დავეთანხმები ჩემი კოლეგის ნათქვამს, ვერ ვიტყვი, რომ შეკითხვები ერთფეროვანი იყო. ბაქოელი, თბილისელი, მინსკელი, ლენინგრადელი თუ კიეველი სტუდენტები დაინტერესებული არიან სტიპენდიის საკითხით. ეს ბუნებრივია, რადგან იგი ყველა სტუდენტს შეეხება. მე პირადად არ ვიღებ სტიპენდიას და ძლივს გამაქვს თავი.

აგრეთვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა კითხვა, რომელიც ჩვენ მოგვცეს, გამოხატავდა ერთ საერთო მისწრაფებას — უკეთ გავუგოთ ერთმანეთს. აი ამან გაგვაოცა ჩვენ, და, ბოლოს, სადაც მივედით, ვნახეთ, რომ ყველგან გულწრფელად სურდათ მშვიდობა. სტუდენტებიც ხშირად გვეკითხებოდნენ, თუ რა აზრისა ვიყავით ჩვენ ამ საკითხზე, და ამიტომაც ერთხელ კიდევ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ მათ მიერ დასმული კითხვები არ იყო ერთფეროვანი. ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ მათ ჰქონდათ მშვიდობის ღრმა სურვილი.

მე დავდიოდი მინსკის ქუჩებში. მინდოდა დამეთვალა რამდენგან მიმდინარეობდა მშენებლობა, მაგრამ იმდენად ბევრი იყო, რომ სათვალავი დავკარგე და თავი დავანებე. ყველგან, სადაც კი ჩავედით, დიადი მშენებლობის მოწმენი ვიყავით.

**ბარნეი:** მე არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჩვენი შეხვედრის დროს საბჭოთა სტუდენტები ერთფეროვან კითხვებს იძლეოდნენ. სხვადასხვა ქალაქებში თითქმის ყველა სტუდენტი ლაპარაკობდა მშვიდობისა და მშვიდობის ძალების გაძლიერების საჭიროების შესახებ. ეს სურვილი ბუნებრივი და გასაგებია. აქედან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კითხვები ერთფეროვანი იყო.

საბჭოთა სტუდენტები მართალნი იყვნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ ამერიკაში ზოგიერთი გაზეთი მოსყიდულია, რომ მონოპოლისტები იქ დიდ როლს თამაშობენ. მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ შეერთებული შტატები მრავალ წინააღმდეგობათა ქვეყანაა, თუმცა იქ ბევრი პროგრესული ძალებიც არის. თვითონ ჩვენც ჩვენი ცხოვრების ბევრ მხარეს კრიტიკულად ვუცქერით. უეჭველია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობენ ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე მიმდინარეობები. მაგრამ ხალხი ყოველთვის ირჩევს შუა გზას და ბევრი მათგანი არ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიულ გამოხდომებს, რაც ასე იგრძნობა ამერიკულ პრესაში. როცა რომელიმე ამერიკული გაზეთი მოუწოდებს დაიბომბოს მოსკოვი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამერიკელი ხალხი მხარს უჭერს მას.

**უარდი:** როდესაც მე თბილისში მკითხეს, როგორია ამერიკული იდეოლოგია, ამ კითხვაზე პასუხი ვერ გავეცი, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალი პოლიტიკური მიმდინარეობაა, და თუ ვინმე ილაპარაკებს ამერიკის იდეოლოგიის შესახებ, მაშინ მან უფლებათა დეკლარაციას უნდა მიმართოს. ახლა შევეხოთ კითხვას, თუ რა გზით შეიძლება გაძლიერდეს კავშირი ამერიკელ და საბჭოთა სტუდენტებს შორის. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ უფრო ხშირად ვახდენდეთ სტუდენტთა დელეგაციების გაცვლას. საბჭოთა სტუდენტები რომ ხშირად ნახულობდნენ შეერთებულ შტატებს, ისინი თავიანთი თვალით დაინახავენ, რომ ამერიკელი სტუდენტები ცდილობენ შეებრძოლონ თავიანთი ქვეყნის მრავალ ნაკლოვანებას. ჩვენ მხარს არ ვუჭერთ ზანგების დისკრიმინაციას. ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ დელეგაციების უფრო ფართო მასშტაბით გაცვლა.

**ბარნეი:** მე მინდა ვთქვა, და არა მარტო ჩემი სახელით, არამედ მთელი ჩვენი ჯგუფის სახელით, რომ ჩვენი დიდი სურვილია უფრო ხშირად ხდებოდეს სტუდენტთა დელეგაციების გაცვლა.


**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

დ ღ ე ს

საცირკო კოლექტივის და **ვალენტინ ფილატოვის** ხელმძღვანელობით არსებული ატრაქციონის—

**„დათვების ცირკის“**

გასტროლების გაგრძელება

**დიდი განახლებული საცირკო წარმოდგენა**

3 განყოფილებად

**„მობრძანდით, იცინეთ“**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

**დღის ორი საბავშვო წარმოდგენა**

დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.

ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 27 თებერვალს | ზ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი** |
| 28 თებერვალს | დღის 12 საათზე ა. ანდრიაშვილი — **ჩხიკვთა ქორწილი** საღამოს პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.


თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება პროფესორ **არკადი ფილიპეს-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნადო, ძმა საბა ოჯახით, შვილები ალექსანდრე, თამარ, რძალი ქეთო, შვილიშვილი გურამ მოსაშვილები იუწყებიან **ქრისტესია ლევანის-ძე მოსაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-II, 3 ს. ვაქირში (სიღნაღის რაიონი).

ბიცოლა თეკლე, ბიძაშვილები თამარ, ქეთო, ელენე, შალვა, ბორის ოჯახებით, გოგუცა, ალექსანდრა, დოდო, შალვა გოცირიძეები იუწყებიან პროფესორ **არკადი ფილიპეს-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-II, 2 ს. ვოროშილოვის სახ. კლუბიდან, რუსთაველის პრ. № 2.

ბიცოლა ნატო, ბიძაშვილები ვარო, მარო, რუსუდან, ირაკლი, შალვა, რძლები ანა, ელენე ჩარკვიანები, სიძეები დ. ხიმშიაშვილი, კ. აბულაძე იუწყებიან **ალექსანდრა გიორგის ასულ დავითაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-II, 4 ს. ბარნოვის შესახ. № 30.

მეუღლე ილარიონ, შვილები მარო, გიორგი, დავით, ბენიამინ, რძლები რუსუდან, მარგალიტა, შვილიშვილები ეკა, რუსლან, ნათელა ღონღაძეები იუწყებიან **მინადორა რომანოზის ასულ ნასარიძე-ღონღაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-III, 4 ს. დ. საჩხერეში.

დისწულები გივი, ვაჟა, სიძე ლ. ნადარეიშვილი, ბიძაშვილი თედორე ცომაია, მამიდაშვილები ბაბი გვაზავა, თამარ ფირცხელავა, ალიოშა პერტენავა იუწყებიან **კოსტა ათანასის-ძე ცომაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-II, 7 ს. გამოსვენება 28-II, 3 ს. გლდანის ქ. № 12.

მეუღლე ანა, შვილები ნინო, გიორგი, ოთარ, სიძე ნ. აფხაზავა, რძლები ეთერ ჯიხვაძე, ფატი თევდორაძე და შვილიშვილები იუწყებიან **სპირიდონ გიორგის-ძე ნებიერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ზესტაფონში 2-III. გამოსვენება ბინიდან, წულუკიძის I შესახვევი № 3.

შვილები პაშა, თამარ, ანა, ალექსანდრე, მიხეილ, შალვა ჩიხლაძეები, სიძეები დომენტი იმედაძე, აკაკი იმედაძე, გიორგი ბაზირაშვილი იუწყებიან **ფოთინე კონსტანტინეს ასულ ჩიხლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-II 7 ს. გამოსვენება 28-II, 4 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 63.

მეუღლე ნადეჟდა, შვილები ლიდა, დავით, სიძე ვალოდია ხაფავა ოჯახით, რძლები ოლია ბახტაძე, ოლია გელაშვილი შვილებით იუწყებიან **ნიკოლოზ სიმონის-ძე ჩარგეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-II, 8 ს. გამოსვენება 28-II, 3 ს. კოლექტივიზაციის ქ. № 11.

შვილები მარო, ვანო, თამარ, ნინო, სიძეები ი. ქღენტი, დ. შაყულაშვილი, რძლები და შვილიშვილები იუწყებიან **დარია ილიას ასულ თარხნიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-II, 8 ს. გამოსვენება 28-II, 3 ს. ბაზალეთის ქ. № 5.

დისწულები თინა, შურა, ქეთო, ლილი, დარეჯან, ლევან, ძმისწული ქეთო, სიძეები ვანო მეიპარიანი, სოლომონ გორთამაშვილი, სერგო ნუბაროვი იუწყებიან **ვლადიმერ ალექსის-ძე იმხნელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-II, 2 ს. შაუმიანის ქ. № 53.

მეუღლე დესპინე, ძმები ნოე, ჯერვან, შვილები ვანო, გოგოლა, ვენერა, რძლები ელენე, ნინო, თალიკო და შვილიშვილები ჩხარტიშვილები იუწყებიან **ეტლია კვიჩალის-ძე ჩხარტიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-II ს. ჯუმათში (მახარაძის რ.).

ძმები აქსენტი, ვლადიმერ, დები ძაბული, მიმი, რძლები თამარ, ნელი, რაია, ბიძაშვილი იონა ოჯახებით იუწყებიან **ბარნაბ სიმონის-ძე გერსამიას** გარდაცვალებას.